პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის. თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი, 10 იანვარი, 1948 წ. № 7 (8051). ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხვალ, 11 იანვარს, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დღეა. ყველანი არჩევნებზე! ხმა მიეცით კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატებს!

სწრაფი აღმავლობის გზით მიდის ჩვენი სახალხო მეურნეობა

საქართველოს მშრომელებმა დიდი წარმატებით დაამთავრეს 1947 წელი— ახალი სტალინური ხუთწლედის მეორე სამეურნეო წელი. ამას მჭევრმეტყველურად ადასტურებს დღეს „კომუნისტში“ გამოქვეყნებული „ცნობა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის რწმუნებულისა საქართველოს სს რესპუბლიკაში საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1947 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების შესახებ“.

პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელობით ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმა ბრწყინვალე გამარჯვებები მოიპოვეს სოციალისტური სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. საქართველოს მრეწველობამ 110 პროცენტით შეასრულა საერთო პროდუქციის გამოშვების 1947 წლის გეგმა, რაც 29,1 პროცენტით სჭარბობს 1946 წელს გამოშვებულ პროდუქციას.

კიდევ უფრო დიდია ცალკეული სამრეწველო სამინისტროებისა და საკავშირო დაქვემდებარების საწარმოთა კოლექტივების მიერ გასულ სამეურნეო წელს მოპოვებული წარმატებანი. საქართველოს სს რესპუბლიკის საგემოვნო მრეწველობის სამინისტროს საწარმოებმა წლიური გეგმა 119,3 პროცენტით გაანაღდეს და 1946 წელთან შედარებით 31,4 პროცენტით გაადიდეს პროდუქციის გამოშვება. 113,8 პროცენტით შეასრულეს გეგმა საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საწარმოებმა. ასევე წარმატებით შეასრულეს წლიური გეგმები საშენ მასალათა, საფეიქრო, მსუბუქი, საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროების, სარეწაო და ინვალიდთა კოოპერაციების საწარმოებმა. რესპუბლიკის ყველა სამრეწველო სამინისტრომ საგრძნობი გადაჭარბებით გაანაღდა ახალი ხუთწლედის მეორე სამეურნეო წლის გეგმა და 1946 წელთან შედარებით საგრძნობლად გაადიდა პროდუქციის გამოშვება.

1947 წელს ფრიად მაღალნაყოფიერად მუშაობდნენ საკავშირო დაქვემდებარების რესპუბლიკური საწარმოები. ჭიათურელმა მაღაროელებმა 104,3 პროცენტით შეასრულეს მარგანეცის ამოღების წლიური გეგმა, თბილისის სპილენძსაგლინავმა ქარხანამ — 143 პროცენტით, კიროველმა დაზგათმშენებლებმა—116,2, ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელმა ქარხანამ—121, ავჭალის ლითონსამსხმელო ქარხანამ—117,2, აგარის შაქრის ქარხანამ—119,7, ბათუმის ციტრუსების კომბინატმა—133,1 პროცენტით.

სახალხო მეურნეობაში ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა გასული წლის გეგმა შესრულებულია 81,3 პროცენტით, აქედან საკავშირო დაქვემდებარების სამინისტროებისა და უწყებების ხაზით—77,7 პროცენტით, საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური დაქვემდებარების სამინისტროებსა და უწყებებში—104,9 პროცენტით. მიუხედავად იმისა, რომ კაპიტალურ დაბანდებათა გასული წლის გეგმა მთლიანად არ არის შესრულებული, იგი 9,4 პროცენტით სჭარბობს 1946 წლის კაპიტალურ დაბანდებათა გეგმის შესრულებას. გასულ წელს რესპუბლიკას შეემატა მთელი რიგი ახალი ობიექტები. ამუშავდა ხრამის მძლავრი მარეგულირებელი ჰიდროელსადგურის პირველი აგრეგატი, თბილისის პლასტმასის ქარხანა, ქუთაისის სამთო მანქანათმშენებლობის ქარხნის პირველი რიგი, ახალციხის ქვანახშირის პირველი შახტი, რუსთავის მეტალურგიული და ქუთაისის საავტომობილო ქარხნების მთელი რიგი დამხმარე საამქროები. საფუძველი ჩაეყარა სამგორის სარწყავი სისტემის, გორის საფეიქრო და რუსთავის აზოტ-ტუკის კომბინატების, სამგორჰესის, ბაღნარჰესისა და მთელი რიგი სხვა საწარმოების მშენებლობას.

მთელმა რიგმა სამინისტროებმა საგრძნობი გადაჭარბებით შეასრულეს კაპიტალური მშენებლობის 1947 წლის გეგმები. ამ მხრივ განსაკუთრებით დიდ წარმატებებს მიაღწიეს კვების, საგემოვნო, სატყეო მრეწველობის, საშენ მასალათა, წყალთა მეურნეობის, მსუბუქი მრეწველობის სამინისტროებმა.

ფრიად მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული გასულ სამეურნეო წელს საქართველოს სოფლის მეურნეობაში. საგრძნობი გადაჭარბებით არის შესრულებული როგორც საშემოდგომო და საგაზაფხულო მარცვლეულის, ისე ტექნიკური კულტურების თესვის გეგმები. აგროტექნიკურ ღონისძიებათა დროულად განხორციელებისა და ნათესების უკეთ დამუშავების შედეგად გასულ წელს რესპუბლიკის კოლმეურნეებმა მოიყვანეს უფრო მაღალი მოსავალი, ვიდრე 1946 წელს. ვადამდე და გადაჭარბებით არის შესრულებული მარცვლეულის, მზესუმზირის, ჩაის, თამბაქოს, ციტრუსების, ყურძნისა და სხვა პროდუქტების დამზადების სახელმწიფო დავალებანი.

ტვირთზიდვის საშუალო სადღეღამისო გეგმა ამიერკავკასიის რკინიგზამ 102,3 პროცენტით შეასრულა. საგრძნობი გადაჭარბებით არის შესრულებული მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი ტვირთების გადაზიდვის გეგმები. 1946 წელთან შედარებით საშუალო სადღეღამისო დატვირთვა გაიზარდა 11,6 პროცენტით.

საცალო საქონელბრუნვის 1947 წლის გეგმა რესპუბლიკის სავაჭრო ორგანიზაციებმა 105 პროცენტით შეასრულეს, ხოლო საზოგადოებრივი კვების საწარმოებმა—118,2 პროცენტით.

ყველა ეს წარმატება მოპოვებულია საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს ხელმძღვანელობით.

დიდია ჩვენი სახალხო მეურნეობის მიერ გასულ სამეურნეო წელს მოპოვებული წარმატებები, მაგრამ კიდევ უფრო პასუხსაგები ამოცანებია ჩვენს წინაშე დასახული 1948 წელს. საბარათო სისტემის გაუქმება და ფართოდ გაშლილ საბჭოთა ვაჭრობაზე გადასვლა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის წინაშე აყენებს მეტი სამრეწველო საქონლის გამოშვებისა და უხვი მოსავლის მიღების ამოცანას.

ლენინგრადელთა პატრიოტულ მიმართვას ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები ერთსულოვანი მოწონებით შეხვდნენ. მათ ვალდებულება იკისრეს ახალი სტალინური ხუთწლედი ოთხ წელიწადში შეასრულონ. ამ ვალდებულების განაღდება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია იმისაგან, თუ როგორ ვიმუშავებთ წელს. ახლა ყველგან, ქალაქადაც და სოფლადაც დიდი შრომითი აღმავლობაა. სამეურნეო ხელმძღვანელები, პარტიული, პროფესიული და კომკავშირული ორგანიზაციები სათავეში უნდა ჩაუდგნენ მშრომელთა ამ აქტივობას, ქმედითად უხელმძღვანელონ სოციალისტურ შეჯიბრებას, რომ თვითეულმა საწარმომ გეგმა შეასრულოს ყოველდღე, ყოველთვე, ყოველ კვარტალში, რომ სოფელი სანიმუშოდ მოემზადოს საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისათვის.

ხვალ, 1948 წლის 11 იანვარს, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დღეა. ყველანი ერთსულოვნად გამოვცხადდეთ საარჩევნო უბნებში და ხმა მივცეთ კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატებს. ახლად არჩეული ადგილობრივი საბჭოები კიდევ უფრო შეუწყობენ ხელს მეოთხე სტალინურ ხუთწლედში საბჭოთა სამშობლოს წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით განხორციელებას.

თბილისის მრეწველობამ 110 პროცენტით შეასრულა 1947 წლის გეგმა

ქალაქ თბილისის სამრეწველო საწარმოებმა 31 დეკემბრისათვის 110 პროცენტით შეასრულეს საერთო პროდუქციის გამოშვების 1947 წლის გეგმა.

საქართველოს სსრ საგემოვნო მრეწველობის სამინისტროს იმ საწარმოებმა, რომლებიც თბილისში მდებარეობენ, წლიური გეგმა შეასრულეს 119,5 პროცენტით და 1946 წელთან შედარებით პროდუქციის გამოშვება გაადიდეს 22,8 პროცენტით; ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საწარმოებმა გეგმა შეასრულეს 118,8 პროცენტით (ზრდა 1946 წელთან შედარებით უდრის 27,5 პროცენტს); მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საწარმოებმა — 108,7 პროცენტით (ზრდა 1946 წელთან შედარებით უდრის 35,1 პროცენტს); საფეიქრო მრეწველობის სამინისტროს საწარმოებმა — 108,9 პროცენტით (ზრდა 1946 წელთან შედარებით უდრის 16,3 პროცენტს); საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს საწარმოებმა — 106 პროცენტით, კვების მრეწველობის სამინისტროს საწარმოებმა — 103,5 პროცენტით; საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს საწარმოებმა — 114,9 პროცენტით; ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს საწარმოებმა — 104,3 პროცენტით; საკავშირო დაქვემდებარების ლითონდამმუშავებელმა ქარხნებმა — 102,7 პროცენტით (ზრდა 1946 წელთან შედარებით უდრის 72 პროცენტს), სოცუზრუნველყოფის სამინისტროს საწარმოებმა — 127,4 პროცენტით, თბილისის საბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების საწარმოებმა — 124,1 პროცენტით; პოლიგრაფიულმა მრეწველობამ — 128,3 პროცენტით; სარეწაო კოოპერაციის სისტემის სამრეწველო არტელებმა — 120,5 პროცენტით და ინვალიდთა კოოპერაციის არტელებმა — 132,1 პროცენტით.

1946 წელთან შედარებით, 1947 წელს თბილისის მრეწველობის საწარმოებმა საერთო პროდუქციის გამოშვება გაადიდეს 33,9 პროცენტით.

ც ნ ო ბ ა

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის რწმუნებულისა საქართველოს სს რესპუბლიკაში

საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1947 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების შესახებ

I

საქართველოს სს რესპუბლიკის მრეწველობის საერთო პროდუქციის 1947 წლის წლიური გეგმა შესრულებულია 110 პროცენტით. 1946 წელთან შედარებით მრეწველობის საერთო პროდუქცია გაიზარდა 29,1 პროცენტით.

საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებში წლიური გეგმა შესრულებულია 103,8 პროცენტით, ხოლო საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებში 115,1 პროცენტით. 1946 წელთან შედარებით საკავშირო დაქვემდებარების საწარმოთა საერთო პროდუქცია გადიდდა 38,2 პროცენტით, ხოლო საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებისა — 23,1 პროცენტით.

ცალკეული სამინისტროებისა და საწარმოების მიხედვით გეგმა შესრულებულია შემდეგნაირად (პროცენტობით):

საკავშირო დაქვემდებარების მრეწველობა

	1947 წ. წლიური გეგმასთან შედარებით	1946 წლის ფაქტიურ შესრულებასთან შედარებით
ჭიათურის მარგანეცის ტრესტი	104,3	120,8
საქართველოს ქვანახშირის კომბინატი	92,5	131,8
საქნავთის ტრესტი	108,4	101,2
ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა	94,2	111,3
სპილენძსაგლინავი ქარხანა	143,0	128,4
საქენერგო	104,7	105,2
ქუთაისის ლიტოპონის ქარხანა	114,3	146,2
კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხანა	116,2	152,0
ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხანა	121,0	134,2
ბერიას სახელობის მანქანათმშენებელი ქარხანა	101,2	102,1
სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანა	82,0	104,1
ქარხანა „ცენტროლიტი“	117,2	128,9
ქარხანა „დაზგა“	111,5	125,4
კასპის ცემენტის ქარხანა	105,7	133,5
შიფერის ქარხანა	123,6	198,6
ენგურის ქაღალდის კომბინატი	102,7	135,7
ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკა	103,0	135,1
ტრიკოტაჟის კომბინატი	99,2	117,3
ფაბრიკა „საქტრიკოტაჟი“	82,1	89,7
აგარის შაქრის ქარხანა	119,7	136,2
მარგარინის ქარხანა	95,1	235,2
გორის კონსერვის ქარხანა	109,2	106,9
ქუთაისის კონსერვის ქარხანა	113,8	106,2
ბათუმის ციტრუსოვანთა კომბინატი	133,1	106,6
შამპანური ღვინოების კომბინატი	111,1	119,7
ფარმქიმქარხანა	123,3	176,4
კოფეინის ქარხანა	103,3	89,6

საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური დაქვემდებარების მრეწველობა

საგემოვნო მრეწველობის სამინისტრო	119,3	131,4
აქედან:		
ტრესტი „საქართველოს ჩაი“	127,0	137,5
სამტრესტი	116,5	130,9
საქთამბაქო	114,7	122,9
საქართველოს ლუდ-ლიმონათის ტრესტი	123,4	135,5
საქართველოს მინერალური წყლები	81,0	135,4
კვების მრეწველობის სამინისტრო	103,5	81,0
აქედან:		
საქპურტრესტი	103,8	69,9
„გლავკონდიტერი“	102,4	103,4
საპნის ქარხანა	101,1	132,1
ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო	101,1	118,5
აქედან:		
თბილისის ხორცკომბინატი	97,8	146,9
თბილისის მაცივარი	117,2	101,6
მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო	109,1	142,5
აქედან:		
თბილისის ტყავეულის ქარხანა № 1	115,8	124,1
თბილისის ტყავეულის ქარხანა № 2	100,4	121,3
ბათუმის ტყავეულის ქარხანა № 3	121,9	126,6
თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკა № 1	100,2	137,1
თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკა № 2	100,2	160,0
ბათუმის ფეხსაცმლის ფაბრიკა № 4	104,1	179,2
სამოდელო ფეხსაცმლის ფაბრიკა	115,3	140,2
ქუთაისის ტყავფეხსაცმლის კომბინატი	119,1	142,8
სოხუმის ტყავფეხსაცმლის კომბინატი	100,4	141,1
თბილისის სამკერვალო ფაბრიკა № 1	116,0	130,7
თბილისის სამკერვალო ფაბრიკა № 2	104,5	140,9
ქუთაისის სამკერვალო ფაბრიკა	113,4	165,0
ბათუმის სამკერვალო ფაბრიკა	101,8	194,3
თბილისის სამკერვალო ფაბრიკა № 7	101,1	156,3
საგალანტერიო ფაბრიკა	108,4	131,0
საფეიქრო მრეწველობის სამინისტრო	110,0	117,8
აქედან:		
თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკა „საბჭოთა საქართველო“	115,0	128,3
ქუთაისის მაუდის ფაბრიკა	120,8	122,2
თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკა	105,0	110,9
ქუთაისის აბრეშუმის კომბინატი	110,4	118,3
ბამბის ფაბრიკა	120,5	113,3
ბამბის სართავი ფაბრიკა	106,7	132,8
წულუკიძის აბრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკა	105,8	109,6
თელავის აბრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკა	104,1	112,6
სამტრედიის აბრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკა	104,6	112,3
მახარაძის აბრეშუმის ძაფსაგრეხი ფაბრიკა	114,1	121,1
სატყეო მრეწველობის სამინისტრო	104,2	122,1
აქედან:		
ახმეტის ხე-ტყის სახერხი ქარხანა	110,9	152,9
ბათუმის ფანერის ქარხანა	107,3	115,0
თბილისის ავეჯის ფაბრიკა	118,5	92,2
მარელისის ავეჯის ფაბრიკა	110,1	123,7
საქართველოს ხე-ტყის დამზადების ტრესტი	89,5	110,5
საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო	113,5	154,2
აქედან:		
საბურთალოს აგურის ქარხანა	115,2	168,5
ნოსირის აგურის ქარხანა	110,7	143,1
სამტრედიის აგურის ქარხანა	104,4	137,9
საქტეშენიტი (კურსების გრანიტის წარმოება)	149,2	259,0
ცეცხლგამძლე ნაწარმის ქარხანა „შრომა“	96,5	195,3
სურამის კირის ქარხანა	139,1	151,3
ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო	113,8	115,2
აქედან:		
26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხანა	125,8	123,4
კალინინის სახელობის მექანიკური ქარხანა	122,6	128,6
ლითონის კონსტრუქციების ქარხანა	110,2	116,9
სასოფლო-სამეურნეო მანქანების ქარხანა	127,0	128,1
მომთუთიებელი ქარხანა	121,1	93,3
საინსტრუმენტო ქარხანა	120,4	129,1
მუსიკალური ინსტრუმენტებისა და ავეჯის კომბინატი	120,9	121,6
ცელულოიდის ნაწარმის ფაბრიკა	102,2	110,7
საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო	106,0	118,6
აქედან:		
თბილისის ავტოსარემონტო ქარხანა	104,7	118,8
სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო	125,9	142,8
სარეწაო კოოპერაციის მრეწველობა	118,5	122,7
აქედან:		
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სარეწაო კოოპერაციის სამმართველო	116,2	120,0
ინვალიდთა კოოპერაცია	125,6	131,2

II

1947 წელს სამრეწველო პროდუქციის უმნიშვნელოვანეს სახეთა ნატურით გამოშვების გეგმის შესრულება ხასიათდება შემდეგი მონაცემებით (პროცენტობით):

	1947 წ. წლიური გეგმასთან შედარებით	1946 წლის ფაქტიურ შესრულებასთან შედარებით
მარგანეცის მადანი	102,8	115,7
ქვანახშირი — სულ	73,1	121,1
აქედან:		
ტყიბულის	75,2	125,4
ტყვარჩელის	74,2	115,2
ახალციხის	28,0	119,8
ნავთობი	102,6	101,3
დაფქული გუმბრინი	111,0	123,5
დაფქული ბარიტი	109,6	896,4
ელექტროენერგია (საქენერგო)	104,7	105,2
აქედან:		
ზაჰესი	102,5	96,8
რიონჰესი	102,3	103,8
ტყვარჩელის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგური	116,2	127,4
აწჰესი	95,0	88,4
დაზგები — სულ	114,2	128,9
აქედან:		
კიროვის სახელობის ქარხანა	113,4	137,8
ქარხანა „დაზგა“	116,4	110,0
ცემენტი	103,5	131,7
შიფერი	124,8	202,6
აგური (საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო)	82,2	136,9
კრამიტი „ „ „ „	38,0	158,2
კირი „ „ „ „	109,9	130,2
ასანთი	87,9	144,1
დაწებებული ფანერი	94,2	122,7
დახერხილი მასალა	83,5	114,9
სამასალო მერქნის გამოზიდვა:		
სატყეო მრეწველობის სამინისტრო	81,4	106,0
სარეწაო კოოპერაცია	117,4	148,8
ქაღალდი:		
ენგურის ქაღალდის კომბინატი	100,0	123,1
თბილისის ქაღალდის ფაბრიკა	101,7	117,7
შალის ქსოვილები:		
საფეიქრო მრეწველობის სამინისტრო	103,2	125,9
სარეწაო კოოპერაცია	127,3	166,6
აბრეშუმის ქსოვილები:		
საფეიქრო მრეწველობის სამინისტრო	104,8	106,2
სარეწაო კოოპერაცია	105,4	156,4
გრეჟა	107,1	114,0
ფეხსაცმელი:		
საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო	102,4	146,2
ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკა	101,8	133,8
ქრომის ტყავი	104,4	123,1
საწოლები	76,0	235,3
პიანინოები	80,4	210,5
ერბო-კარაქი	96,8	117,3
ხორცი	93,5	102,4
კონსერვი	110,7	112,0
მაკარონის ნაწარმი	103,1	84,6
შაქრის ფხვნილი	112,7	129,2
ჩაი მზა გამოწონილი	128,0	126,1
ყურძნის ღვინო	101,7	119,1
შამპანური ღვინოები	108,9	127,9
პაპიროსი	100,3	144,7
საპონი	101,7	133,0
მცენარეული ზეთი	107,3	139,8

III

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა 1947 წლის გეგმა სახარჯთაღრიცხვო ღირებულების მიხედვით შესრულებულია 81,3 პროცენტით, აქედან საკავშირო დაქვემდებარების სამინისტროებსა და უწყებებში — 77,7 პროცენტით, ხოლო საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური დაქვემდებარების სამინისტროებსა და უწყებებში — 104,9 პროცენტით.

1947 წელს რესპუბლიკაში შესრულებულ კაპიტალურ სამუშაოთა მოცულობამ 1946 წლის კაპიტალურ სამუშაოთა მოცულობას გადააჭარბა 9,4 პროცენტით, აქედან საკავშირო დაქვემდებარების სამინისტროებსა და უწყებებში 5,5 პროცენტით, ხოლო საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური დაქვემდებარების სამინისტროებსა და უწყებებში 32,6 პროცენტით.

ცალკეული სამინისტროების, უწყებებისა და დიდი მშენებლობების მიხედვით კაპიტალურ დაბანდებათა 1947 წლის გეგმის შესრულება ხასიათდება შემდეგი მონაცემებით (პროცენტობით):

(დასასრული მე-2 გვერდზე)

ცნობა
სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის რწმუნებულისა საქართველოს სს რესპუბლიკაში
საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1947 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების შესახებ

(დასასრული)

საკავშირო დაქვემდებარების ობიექტები

	1947 წ. წლიურ გეგმასთან შედარებით
ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხანა	57,9
აქედან ამიერკავკასიის მეტალურგმშენის მიერ შესრულებული სამუშაოები	47,8
ქუთაისის საავტომობილო ქარხანა	80,8
აქედან № 11 სამშენებლო ტრესტის მიერ შესრულებული სამუშაოები	65,7
საქართველოს ქვანახშირის კომბინატი	62,3
აქედან საქშახტმშენის მიერ შესრულებული სამუშაოები	74,2
ხრამჰესმშენის ტრესტი	113,9
აქედან ხრამჰესი	119,6
სოხუმჰესი	107,3
სამგორის ჰესი	84,6
ტრესტი საქენერგო	68,8
ჭიათურის მარგანეცის ტრესტი	66,4
საქნავთის ტრესტი	80,1
ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა	78,1
კვაისმშენი	91,1
ქუთაისის მანქანათმშენებელი ქარხანა	111,8
პლასტმასის ქარხანა	47,7
კიროვის სახელობის ქარხანა	103,0
შამპანური ღვინოების კომბინატი	114,1
კოლხიდმშენი	112,9
სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობა	73,1
ლოკომოტივსარემონტო ქარხანა	72,3
რკინიგზების მშენებლობა	86,7
მათ შორის:	
შავი ზღვის რკინიგზა	90,9
ბორჯომ-ვალეს რკინიგზის ხაზი	107,1
კაჰეთ-მირზაანის რკინიგზის ხაზი	101,9

საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური დაქვემდებარების სამინისტროები და უწყებები

კვების მრეწველობის სამინისტრო	173,5
საგემოვნო მრეწველობის სამინისტრო	122,2
ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო	89,9
მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო	106,3
საფეიქრო მრეწველობის სამინისტრო	78,9
სატყეო მრეწველობის სამინისტრო	129,4
სატყეო მეურნეობის სამინისტრო	128,2
საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო	114,3
სოფლის მეურნეობის სამინისტრო	91,6
ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო	68,6
კინემატოგრაფიის სამინისტრო	109,6
განათლების სამინისტრო	70,1
ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო	84,2
წყალთა მეურნეობის სამინისტრო	112,5
საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო	69,6
კომუნალური მეურნეობის სამინისტრო	103,1
მთავარი საგზაო სამმართველო	135,9
კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა კომიტეტი	94,5
ხელოვნების საქმეთა სამმართველო	131,1

IV

საშემოდგომო კულტურების თესვის სახელმწიფო გეგმა კოლმეურნეობებში შესრულებულია 103 პროცენტით, საგაზაფხულო კულტურებისა—100,7 პროცენტით, აქედან: საგაზაფხულო ხორბლისა — 109,6 პროცენტით, საგაზაფხულო ქერისა—109,9 პროცენტით, სიმინდისა — 100 პროცენტით.

ტექნიკური კულტურების თესვის გეგმა შესრულებულია 106,2 პროცენტით, აქედან: მზესუმზირასი — 108 პროცენტით, შაქრის ჭარხლისა — 100,2 პროცენტით, ბამბისა — 100 პროცენტით.

რესპუბლიკის მეტწილ კოლმეურნეობებში აგროტექნიკურ ღონისძიებათა დროულად ჩატარების შედეგად ყველა კულტურის მოსავლიანობა 1947 წელს უფრო მაღალი იყო, ვიდრე 1946 წელს.

1947 წელს ძირითადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ცენტრალიზებულ დამზადებათა გეგმის შესრულება ხასიათდება შემდეგი მონაცემებით (პროცენტობით):

მარცვლეული და პარკოსანი კულტურები	111,9
მზესუმზირა	132,6
სოია	117,8
ბამბა	102,8
შაქრის ჭარხალი	75,3
თამბაქო	134,7
ჩაი (მწვანე ფოთოლი)	118,3
ციტრუსები	114,3
ყურძენი	100,9
აბრეშუმის პარკი	108,1
ხორცი	102,2
კვერცხი	106,2
რძე	98,1
მატყლი	104,6

V

ამიერკავკასიის რკინიგზაზე საშუალო სადღეღამისო დატვირთვის გეგმა 1947 წელს შესრულებულია 102,3 პროცენტით, აქედან უმნიშვნელოვანესი ტვირთებისა: ქვანახშირისა—65,9 პროცენტით, მარგანეცის მადნისა—103,2 პროცენტით, ნავთის პროდუქტებისა — 57,3 პროცენტით, ცემენტისა—108,2 პროცენტით, შავი ლითონისა—125,7 პროცენტით, ხე-ტყის მასალისა—131,9 პროცენტით.

1946 წელთან შედარებით საშუალო სადღეღამისო დატვირთვა 11,6 პროცენტით გადიდდა, აქედან უმნიშვნელოვანესი ტვირთებისა: ქვანახშირისა—21,8 პროცენტით, მარგანეცის მადნისა — 25,1 პროცენტით, ცემენტისა —33,9 პროცენტით, შავი ლითონისა — 32,3 პროცენტით, ხე-ტყის მასალისა —41,7 პროცენტით.

VI

საცალო საქონელბრუნვის 1947 წლის გეგმა მთლიანად რესპუბლიკაში შესრულებულია 105 პროცენტით, აქედან საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაში (ცეკავშირი)—132,8 პროცენტით, სარეწაო კოოპერაციაში—111,1 პროცენტით და ინვალიდთა კოოპერაციაში—130,5 პროცენტით.

ცალკეული სავაჭრო ორგანიზაციების მიხედვით საცალო საქონელბრუნვის გეგმა შესრულებულია შემდეგნაირად: თბილვაჭრობა—112,1 პროცენტით. საქვაჭრობა—100,4 პროცენტით, „გლავოსობგასტრონომი“—80,8 პროცენტით, „გლავოსობუნივერმაგი“—84,3 პროცენტით.

საზოგადოებრივი კვების საწარმოთა ბრუნვის წლიური გეგმა შესრულებულია 118,2 პროცენტით, აქედან სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაში—141,5 პროცენტით.

ცალკეული ორგანიზაციების მიხედვით საზოგადოებრივი კვების ბრუნვის გეგმა შესრულებულია შემდეგნაირად: თბილისის საზოგადოებრივი კვების ტრესტი—103,2 პროცენტით, საქვაჭრობა—116,5 პროცენტით.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის რწმუნებული საქართველოს სს რესპუბლიკაში

გამოჩენილი საბჭოთა მხედართუფროსი

მხედართუფროსთა შორის, რომლებმაც დიდი სამამულო ომის დროს თავი გამოიჩინეს და განახორციელეს მტრის განადგურების გენიალური სტალინური გეგმა, თვალსაჩინო ადგილი უკავია თევდორე ივანეს-ძე ტოლბუხინს. ჩვენი ხალხის ერთ-ერთი უსაყვარლესი სარდლის მიერ ჯარისკაციდან საბჭოთა კავშირის მარშლამდე განვლილი ცხოვრების გზა საინტერესო და საგულისხმოა.

იაროსლავლის ოლქის სოფელ ანდრონიკის გლეხის შვილი თ. ი. ტოლბუხინი პირველი მსოფლიო ომის დროს რუსეთის არმიაში მსახურობდა და მონაწილეობა მიიღო ბრუსილოვის ცნობილ გარღვევაში. მან მაშინ თავი გამოიჩინა როგორც შესანიშნავმა მეომარმა. პირველი მსოფლიო ომის წლებში თ. ი. ტოლბუხინმა გაიარა გზა ჯარისკაციდან ბატალიონის მეთაურამდე. იგი ორჯერ დაიჭრა.

გაიმარჯვა ოქტომბრის რევოლუციამ. ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკას შავი ღრუბლები ჩამოაწვა. თევდორე ივანეს-ძე ტოლბუხინი მოხალისედ შევიდა წითელ არმიაში და სამუდამოდ დაუკავშირა მას თავისი სიცოცხლე. სამოქალაქო ომის მრისხანე წლებში იგი მთელ თავის სამხედრო ნიჭს და ენერგიას საბჭოთა რესპუბლიკის დაცვის საქმეს ახმარს. სადაც უნდა ებრძოლნა მას — იუდენიჩის წინააღმდეგ ლენინგრადის ფრონტზე, თუ პოლონელი პანების წინააღმდეგ დასავლეთის ფრონტზე, ან თეთრფინელთა ინტერვენციის ჩასაქრობად კარელიაში,—მუდამ ნაცადი მეომრის სიდინჯით სჩადიოდა საგმირო საქმეებს, რითაც უფროს მეთაურთა პატივისცემას და ხელქვეითთა სიყვარულს იხვეჭდა. ურთიერთობაში უაღრესად უბრალო და ამავე დროს სამსახურში მომთხოვნელი თ. ი. ტოლბუხინი პირველი შეხვედრიდანვე მოიგებდა ხოლმე ჯარისკაცთა და ოფიცერთა გულს.

პირველი მსოფლიო და სამოქალაქო ომების დროს მიღებული საბრძოლო გამოცდილება თევდორე ივანეს-ძე ტოლბუხინმა წარმატებით გამოიყენა სამშვიდობო პირობებში მშობლიური წითელი არმიის ძლიერების განსამტკიცებლად. იგი მეთაურობდა პოლკს, დივიზიას. მისი სამხედრო ნაწილი მუდამ გამოირჩეოდა თავისი გაწვრთნილობით, ამტანობით, დისციპლინით.

თ. ი. ტოლბუხინმა თავისი ცოდნა გააღრმავა ფრუნზეს სახელობის სამხედრო აკადემიაში. აქ მან გაიარა სამხედრო ხელოვნების სტალინური სკოლა. აკადემიის დამთავრების შემდეგ იგი არის ჯერ დივიზიის, კორპუსის, შემდეგ კი ოლქის შტაბის უფროსი.

დიდი სამამულო ომი რომ დაიწყო, თ. ი. ტოლბუხინი იყო ამიერკავკასიის ფრონტის შტაბის უფროსი. იგი წარმატებით აწარმოებს ოპერაციებს ირანში, შემდეგ კი ქერჩში.

1942 წლის აპრილიდან თ. ი. ტოლბუხინი მუშაობს სტალინგრადის სამხედრო ოლქის სარდლის მოადგილედ და სტალინგრადის გარნიზონის უფროსად. სტალინგრადი, რომელმაც მთელი მსოფლიო განაცვიფრა თავისი შეუპოვრობითა და მამაცობით, მისი ხელმძღვანელობით ემზადებოდა თავდაცვისათვის. როცა გერმანელები ქალაქს მიადგნენ, გენერალი ტოლბუხინი სათავეში ჩაუდგა ერთ არმიას. ამ არმიამ, რომელიც ერთერთი გადამწყვეტი და აქტიური მიმართულებით მოქმედებდა, ხელი შეუწყო სტალინგრადთან გერმანელთა განადგურების სტალინური გეგმის ბრწყინვალედ განხორციელებას.

სტალინგრადის ეპოპეის დამთავრების შემდეგ გენერალი ტოლბუხინი ჩრდილო-დასავლეთის ფრონტზეა. მისი ნაწილები აქაც ანადგურებენ მტერს უეცარი და მტკიცე დარტყმებით.

თ. ი. ტოლბუხინის ჯარების უკანასკნელი წარმატებანი, განსაკუთრებით სტალინგრადთან მოპოვებული წარმატებანი, მკაფიოდ ამჟღავნებენ არმიის სარდლის მხედართმთავრულ ხელოვნებას. ამან მიიპყრო ჩვენი არმიის მთავარი ბანაკის ყურადღება და, როცა საბჭოთა ფრონტის საბრძოლო მოქმედების ცენტრი სამხრეთში გადავიდა, გენერალი ტოლბუხინი დაინიშნა პასუხსაგებ პოსტზე — სამხრეთის ფრონტის სარდლად. ამ ფრონტს შემდეგ უკრაინის მე-4 ფრონტი დაერქვა.

თ. ი. ტოლბუხინის ჯარები შეტევაზე გადავიდნენ, გაარღვიეს ფრონტი მდინარე მიუსზე, გერმანელ ფაშისტ დამპყრობთაგან გაათავისუფლეს ტაგანროგი, სტალინო, მთელი დონბასი, მაგრად ჩაჰკეტეს მტერი ყირიმში, შემდეგ კი შავ ზღვაში გადაავდეს იგი.

1944 წლის მაისიდან თ. ი. ტოლბუხინი უკრაინის მე-3 ფრონტის მეთაურია. ფრონტის ნაწილები მდინარე დნესტრის ზღუდიდან ტირასპოლის რაიონში სწრაფად გადავიდნენ შეტევაზე და უკრაინის მე-2 ფრონტის ჯარებთან თანამოქმედებით გაანადგურეს გერმანიისა და რუმინეთის ჯარები კიშინიოვ-იასის რაიონში. ასე დაიწყო სწრაფი შეტევა უკრაინის მე-3 ფრონტის ჯარებისა საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტის მთელ მარცხენა ფლანგზე. აი ამ შეტევის გზა. ჯერ გერმანელებს მოუწყეს იასი-კიშინიოვის უზარმაზარი ქვაბი, რაც მტერს 22 დივიზიად დაუჯდა. ამ ოპერაციის შედეგად განთავისუფლდა მოლდაველთის საბჭოთა რესპუბლიკა, მწყობრიდან გამოყვანილ იქნენ გერმანიის მოკავშირეები რუმინეთი და ბულგარეთი, შესაძლებელი გახდა ძმური დახმარების ხელი გაგვეწოდებინა ჩვენი მოკავშირე იუგოსლავიისათვის, ჩვენს ჯარებს გზა გაეხსნათ უნგრეთისაკენ — ევროპაში გერმანიის უკანასკნელი მოკავშირისაკენ.

თ. ი. ტოლბუხინის ჯარები იუგოსლავიაში გადამწყვეტი მოქმედებით სწმენდნენ იუგოსლავიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილს — სერბიას, ათავისუფლებენ დედაქალაქ ბელგრადს. შემდეგ მათ რამდენიმე ადგილას გადალახეს მდინარე დუნაი, გაანადგურეს გერმანიისა და უნგრეთის ჯარები და ღრმად შეიჭრნენ უნგრეთის ტერიტორიაზე.

1944 წლის დეკემბერში უკრაინის მე-3 ფრონტის ჯარებმა გაარღვიეს გერმანელების მიერ 6 თვის მანძილზე ნაშენები ძლიერი სიმაგრეები, რომლებსაც „მარგარიტა“ ეწოდებოდა და დაამთავრეს გერმანიის ჯარების გარემოცვა ბუდაპეშტის რაიონში, სოლივით შეიჭრნენ ქალაქში და უკრაინის მე-2 ფრონტის ჯარებთან ერთად შეუპოვარი ბრძოლა დაიწყეს უნგრეთის დედაქალაქის გასაწმენდად.

შემდეგ ტოლბუხინის ჯარები ბრძოლას აწარმოებდნენ ავსტრიაში, სადაც სუვოროვისა და კუტუზოვის დროს რუსები ნაპოლეონის ბატონობის წინააღმდეგ იბრძოდნენ, და დასასრულ აიღეს ვენა, რითაც დამთავრდა თანამედროვე ომის ერთ-ერთი უდიდესი ბრძოლა.

თ. ი. ტოლბუხინის ჯარებმა სტალინგრადიდან ავსტრიის დედაქალაქამდე განვლილ ძლევამოსილ გზაზე შეასრულეს მრავალი შესანიშნავი ოპერაცია. ამ ოპერაციების დამახასიათებელი ის არის, რომ მათი მიზანი იყო მტრის არა უბრალოდ განდევნა, არამედ მოწინააღმდეგის ცოცხალი ძალისა და ტექნიკის გარემოცვა და მოსპობა, რაც განსაკუთრებით მკაფიოდ გამოვლინდა მოლოჩანის, ყირიმის, იასი-კიშინიოვის, ბუდაპეშტის, ბალატონის და ვენის ოპერაციებში.

მარშალი თ. ი. ტოლბუხინი, ბოლშევიკური პარტიის აღზრდილი, ამხანაგ სტალინის აღზრდილი, ერთნაირად საყვარელი და ძვირფასია ყველა საბჭოთა ადამიანისათვის. საბჭოთა მთავრობამ მაღალი შეფასება მისცა თ. ი. ტოლბუხინის დამსახურებას. იგი დაჯილდოებულია გამარჯვების ორდენით და საბჭოთა და უცხოეთის სხვა უმაღლესი სამხედრო ორდენებით. გამოჩენილ საბჭოთა მხედართუფროსს 27 ჯილდო უმშვენებს მკერდს. იუგოსლავიის მთავრობამ იუგოსლავიის სახალხო გმირის წოდება მიანიჭა მას.

ომის დამთავრების შემდეგ თ. ი. ტოლბუხინი არის ჯარების სამხრეთი ჯგუფის მთავარსარდალი და თავმჯდომარე მოკავშირეთა საკონტროლო კომისიებისა ბულგარეთსა და რუმინეთში.

ამჟამად საბჭოთა კავშირის მარშალი თ. ი. ტოლბუხინი ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალია. მის ხელმძღვანელობაში მყოფი ჯარები ბეჯითად სწავლობენ დიდი სამამულო ომის მდიდარ გამოცდილებას და სრულჰყოფენ თავიანთ საბრძოლო მომზადებას.

მრავალფეროვან და ნაყოფიერ საქმიანობას ეწევა თ. ი. ტოლბუხინი, როგორც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. მას ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა კუთხიდან სწერენ წერილებს სხვადასხვა საკითხებზე, სწერენ უმთავრესად განსაკუთრებული საარჩევნო ოლქის ამომრჩევლები, რომლებიც წავიდ-წამოვიდნენ მთელ ჩვენს თვალუწვდენ ქვეყანაში ნაწილობრივ დემობილიზაციით, ნაწილობრივ გადაყვანილ იქნენ სხვა სამხედრო ოლქებში. დეპუტატმა ტოლბუხინმა მარტო 1947 წელს 4 ათასამდე წერილი მიიღო.

მიუხედავად იმისა, რომ დრო წუთობით აქვს გამოანგარიშებული, თ. ი. ტოლბუხინი ასწრებს პირადად გასცეს პასუხი თვითეულ ამომრჩეველს. ზოგს ამხანაგური რჩევა ესაჭიროება, ზოგი სთხოვს სამუშაოზე მოწყობას ან არმიაში ზევადიან სამსახურში დაბრუნებას და სხვ. მარშალს მიმართავენ აგრეთვე საჩივრით ცალკეული ადგილობრივი საბჭოთა, სამხედრო და სამეურნეო ორგანოებში საქმის გაჭიანურების გამო, მიმართავენ იურიდიული ხასიათის საკითხებზე. ზოგნი უზიარებენ მას შრომის ფრონტზე მიღწეული წარმატებით გამოწვეულ სიხარულს. ჯარისკაცის საჭიროებისადმი გულხმიერი თ. ი. ტოლბუხინი თვითეულ მათგანს გულთბილ პასუხს სწერს და საჭირო შემთხვევაში დახმარებასაც უწევს.

• • •

სახელგანთქმული საბჭოთა მხედართუფროსი, სამშობლოს მგზნებარე პატრიოტი თევდორე ივანეს-ძე ტოლბუხინი თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის მუშამოსამსახურეთა საერთო კრებამ და რეგისტრირებულია № 141 საარჩევნო ოლქში.

მ. დავითაშვილი

ახალი აბაშა

I

წამოიშალნენ კავკასიონზე გადაფენილი თეთრი ღრუბლები, მსუბუქად, ნელნელა მისცურავენ შავი ზღვისაკენ, ელვარებს მზით გაბრწყინებული კავკასიონი—ბრჭყვიალებს მარადი თოვლი!

ჩამოთოვილია გურიის მთებიც და ახლა კოლხიდის დაბლობისაკენ მოაბიჯებს ზამთარი, შემოათოვს შავი ზღვის თბილ სანაპიროებსაც.

გადაბარდნის დაბლობს სპეტაკი თოვლი, ზეწარივით გადაეხურება გაფოფრილ ჩაის ბუჩქებს და მარადმწვანე ნარინჯოვნებს, ევკალიპტის შრიალა ხეებს, და დეკემბრის მიწურულშიც მწვანე ბალახებით, სუროთი, ფოთოლგაუცვენელი ხეებით დაბურული დიდი დაბლობი ერთფერად შეიმოსება...

მცირე ხნით დადგება ზამთარი კოლხიდის ველზე.

• • •

დაბინავებულია შარშანდელი ჭირნახული, მოზიდულია შეშა, გაჩაღებულია ბუხარი. ზამთრის გრძელ ღამეებში ენაწყლიანობენ ბერიკაცები, ნაირნაირ ზღაპრებს მოუთხრობენ შვილიშვილებს. ჩონგურის მომჯადოებელი ხმა მოისმის ოდასახლებიდან, ახალ სიმღერებს მღერიან ახალგაზრდები...

მარიამ გუგუშვილს საქმე არ დაელევა. აბაშის რაიონის სოფელ სუჯუნაში ყველა იცნობს ამ გასაოცარი ენერგიის პატრონ ქალს. შარშან სამოცდახუთმეტი წლისა გახდა მარიამ გუგუშვილი და მაინც მას ახალგაზრდებიც ვერ უტოლდებიან სიმარდეში. სწორედ შარშან მან სუჯუნის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში სიმინდის სარეკორდო მოსავალი მოიყვანა.

— ადრე დავიგული, ნანასკუა, ჩემი საყანე ადგილი, გაზაფხულზე ადრე გავედი მინდვრად, კოლმეურნეობაში ყველაზე უფრო ადრე დაიხნა ჩემი საყანე მიწა, მერე მოვლას არ ვაკლებდი ყანას და რაღა გაგიწვრილო ამბავი, შემოდგომაზე, როცა მოსავალი ავიღე, ზუსტად ექვსას სამოცი ფუთი გამოვიდა.

აი, რა დიდი მოსავალი მოიწია მარიამ გუგუშვილმა ერთ ჰექტარ მიწაზე.

არავინ შეიშველია ამ ქალმა თესვასა, მარგვლასა და მოროდში. ოჯახსაც, საკუთარ კარმიდამოსაც როდი აკლებდა მზრუნველ ხელს. ექვსი შვილის დედაა მარიამი. ახლა სხვენზე შედგმული მისი ხელით ასე ხანგრძლივად ნარწევი აკვანი. ამ აკვანში მისი შვილების ღიმილსა და ტიკტიკს სძინავს, მარიამ გუგუშვილის ყმაწვილქალობაა ჩარწეული ამ აკვანში!

— დიდი წელიწადი იყო 1947, ნანასკუა, ასეთი ხვავრიელი შემოდგომა არ მინახავს ამ ხნის ადამიანს; ბეჯითად ვიშრომეთ და გაგვიმართლდა! ხომ ნახე ჩვენი კოლმეურნეობის ნალიები! რამდენი ახალი ნალია ავაგეთ შარშან და მაინც ვერსად დავატიეთ სიმინდი. მერე რა ტკბილია, როცა ასე გაგიმართლდება შრომა!

II

ერთი ახალი სოფელია აბაშის რაიონში—ცილორი. ამ სოფლის ახლანდელი მკვიდრნი რიონის მარჯვენა ნაპირზე მოსახლეობდნენ და დღიდან-დღემდე წყალდიდობა ემუქრებოდა იმათ კერასა და სარჩო-საბადებელს. ბატონიშვილი არ აძლევდა სამოსახლოს ცილორელებს მდინარიდან მოშორებით, და ცილორელები მუდამ ძილფხიზლობდნენ. ისინი შეშინებული შესცქეროდნენ ამღვრეულ რიონს, უფრო მეტად გაზაფხულზე, როცა თავს მოიგიჟიანებდა ეს მდინარე და ნაპირებიდან გადმოსული უსწრაფესად მიეჭრებოდა ცილორელების ქოხმახებს, გამოუგრეხდა საძირკველს, მოსთხრიდა და თამაშამაშით მიაქანებდა შავი ზღვისაკენ...

ბევრჯერ უქცევია ნაპირმოხსნილ რიონს ნასოფლარად ცილორი... წარსულს ეკუთვნის ეს ამბავი. ახლა მდინარე რიონიდან კარგამოშორებით, ბატონიშვილების ნამოსახლარებზე აქვთ ცილორელებს გაშენებული ლამაზი სოფელი აივნიანი ოდასახლებით, ხილნარიანი ეზოებით, მოკირწყლული შარა-გზებით დამშვენებული.

ნარიონალზე კი, სადაც წინათ მოსახლეობდნენ ცილორელები, ახლა კოლმეურნეობის საყანე ადგილებია; შემაღლებული და გამაგრებულია მდინარის ნაპირები და კოლმეურნეთა ნაჯაფარს ვერას აკლებს ადიდებული და ამღვრეული რიონი.

ამ სოფლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობას რვაასი ჰექტარი სახნავ-სათესი მიწა აქვს, აქვს საძოვრები, ტყე, ციტრუსების სანერგე, ბოსტანი; სწორედ ნარიონალზე, წყლისათვის წართმეულ მიწაზეა გამართული ციტრუსების სანერგე, რომელსაც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი აგროტექნიკოსი ელპიდე არველაძე ხელმძღვანელობს.

გასულ წელს ცილორელებს სიმინდის ყანის ორმოცდარვა სტახანოვური ჰექტარი ჰქონდათ და უმაგალითო მოსავალი მოიწიეს. ოთხმოცი წლის ლავრენტი თევდორაძემ სტახანოვურ ჰექტარზე ორმოცდახუთი ათასი ძირი სიმინდი შეინარჩუნა, ხოლო თვითეულ ძირს ორ-ორი და სამ-სამი ტარო ჰქონდა.

• • •

ცილორში რვაწლიანი სკოლაა. ამ სკოლას ადგილობრივი მკვიდრი ნომარი ვაჟკაცი აკაკი ესაკია ხელმძღვანელობს. რომელ სოფელშიც კი მივედით —ნარიონში, სუჯუნაში, [illegible]ბაშაში, კეთილარსა თუ ონტოფოში—ყველგან ახალი შენობებია აგებული სკოლებისათვის, საკოლმეურნეო კლუბებისათვის, ახალ შენობებშია მოთავსებული კოლმეურნეობათა კანტორები, ახლადაგებულ ბოსლებშია საქონელი დაბინავებული და ყველა შენობა კრამიტითაა გადახურული.

სკოლების ქსელით დაფარულია აბაშის რაიონი. აქ ცამეტი სრული საშუალო სკოლაა, თორმეტი რვაწლიანი სკოლა და თვრამეტი დაწყებითი სკოლა. გარდა ამისა, არის მოზრდილთა ოთხი საშუალო სკოლა და ერთი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი. სკოლებში რვა ათასამდე მოსწავლეა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში ორი თუ სამი ექიმი იყო აბაშაში. ამჟამად რაიონის მშრომელებს ორმოცდაშვიდი ექიმი ემსახურება. თითქმის ყოველ სოფელში მოწყობილია საექიმო პუნქტი.

შარშან აბაშელმა კოლმეურნეებმა სიმინდის სარეკორდო მოსავალი მოიყვანეს, განავითარეს მეცხოველეობა, ყველა დავალება წარმატებით შეასრულეს.

ჩინებულად მოუარეს კოლმეურნეებმა ჩაისა და ციტრუსოვანთა პლანტაციებს, ტუნგოსა და დაფნას, ბამბუკს...

III

აბაშის რკინიგზის სადგურთან ვრცელი მოედანია. მოედანზე ხალხთა ბელადის მონუმენტია აღმართული. მოედნის ჩრდილოეთით, ლენინის ქუჩის გაყოლებაზე ვეებერთელა ჭადრებია ჩამწკრივებული. მათ ყვავილების გაზონი მიჰყვება. ჩასულის ყურადღებას იპყრობს ორი ქუჩის ჯვარედინზე მოწყობილი პანო. ამ პანოსათვის ამხანაგ სტალინის, ამხანაგების ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვის, ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას და კანდიდ ნესტორის-ძე ჩარკვიანის პორტრეტები შესრულებულია მხატვარ ვეფხვაძის მიერ. ეს პანო-სტენდი აბაშის რაიონის ნათელ სურათს გვიხატავს: რაიონის კოლმეურნეობათა სახელმოხვეჭილი ბრიგადირები და მერგოლურები, უხვი მოსავლის ოსტატები, მოწინავე კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები არიან წარმოდგენილი აქ, სხარტად არის მოთხრობილი მათს შრომით წარმატებაზე.

აბაშას აქვს შესანიშნავად მოწყობილი კულტურის სახლი მაყურებელთა სამასორმოცდაათადგილიანი დარბაზით, მრავალი დამხმარე ოთახით. კულტურის სახლთან არსებობს თეატრალური დასი, რომელიც სისტემატურად სდგამს წარმოდგენებს და კულტურულ მომსახურებას უწევს რაიონის კოლმეურნეობებს.

ამჟამად ერთი დიდი საზრუნავი აქვთ აბაშაში: ემზადებიან ნოსირის წყაროსწყალის გამოსაყვანად;

საშუალო და დაწყებითი სკოლები, სახელოსნოები, კინოთეატრი, სანიმუშოდ მოწყობილი საავადმყოფო და აფთიაქი, საკუთარი გაზეთი „საბჭოთა სოფელი“ და რადიოკვანძი, სასტუმრო, საზოგადოებრივი და კულტურული დაწესებულებანი, ელექტროგანათება, ასეთია ახალი აბაშა.

• • •

ვინახულეთ მრავალი საარჩევნო უბანი. ყოველ სოფელში უკითხავად შეგიძლია მიაგნო საარჩევნო უბანს. აქ ახლა დეპუტატობის კანდიდატებს ხვდებიან ამომრჩევლები.

საკოლმეურნეო შრომის წარჩინებულნი დაასახელეს კოლმეურნეებმა ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებში. სოფელ სუჯუნის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოაყენეს კოლმეურნე ნათელა კუცია, ცილორელმა კოლმეურნეებმა კოლმეურნეობის თავმჯდომარე სპირიდონ ხარებავა, სოფელ კეთილარის კოლმეურნეებმა სტახანოველი კოლმეურნე ქალი ნუცა მითაგვარია, სოფელ წყემის კოლმეურნეებმა კოლმეურნე ლუბა კილასონია... აი, ესენი და მათი მსგავსნი, ჩვენი დიადი სამშობლოს პატრიოტები, სახალხო საქმისათვის თავდადებული ადამიანები დაასახელეს აბაშის რაიონის კოლმეურნეებმა დეპუტატობის კანდიდატებად.

აბაშა ზეიმითა და სიხარულით ემზადება არჩევნებისათვის. ყოველმა მშრომელმა კარგად იცის, ვინ მოუპოვა ხალხს კეთილი ცხოვრების უფლება და ამის გამო დღეცისმარე მხეგრძელობას ინატრის ამ ადამიანისათვის.

მეოთხე სტალინური ხუთწლედის მესამე წელი დადგა!

აბაშის რაიონში სახალხო შრომაა გაჩაღებული. წელს კოლმეურნეები შარშანდელზე მეტ ჭირნახულს მოიწევენ, ახალ პლანტაციებს გააშენებენ, ახალ შარა-გზებს გაიყვანენ, ახალ ოდასახლებს ააშენებენ.

ცხოვრება კიდევ უფრო სამური გახდება.

ალიო ადამია

ერთსულოვნად მივცეთ ხმა ჩვენი სამშობლოს სახელოვან შვილებს!

ისინი ირჩევენ დიდ სტალინს!

არჩევნების წინადღეს № 53 საარჩევნო ოლქში საზეიმო განწყობილებაა. ამაზე, მეტყველებენ უჩვეულოდ გაკაშკაშებული შენობები, წითელი ქსოვილებით მორთული სახლები, მოღიმარი ადამიანები... მათ აქვთ განსაკუთრებული სიხარულის საფუძველი: ხვალ ისინი თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატად აირჩევენ დიდ სტალინს.

წინასაარჩევნო საღამო

გუშინ № 53 საარჩევნო ოლქში შესდგა წინასაარჩევნო საღამო, რომელსაც ათასზე მეტი ამომრჩეველი დაესწრო. საღამოზე უკლებლივ მოვიდნენ № 53 და № 54 საარჩევნო ოლქების ამომრჩევლები. აქ იყვნენ მუშები, მოსამსახურეები, დიასახლისები, მასწავლებლები. საღამოს მონაწილეებს სიტყვით მიმართა ნდობით აღჭურვილმა პირმა სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის უფროსმა ამხ. დ. მამაცაშვილმა.

ამხ. მამაცაშვილმა ილაპარაკა იმ სიხარულსა და აღფრთოვანებაზე, რაც გამოიწვია არა მარტო ოლქის, არამედ მთელი საქართველოს მშრომელებში დიდი სტალინის თანხმობამ კენჭი იყაროს თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობაზე.

— სტალინის სახელი,—ამბობს ამხ. მამაცაშვილი,—გულზე ახატია ყოველ საბჭოთა ადამიანს. მშრომელთათვის არ არსებობს უფრო ძვირფასი და საყვარელი სახელი, ვიდრე სტალინია.

საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დიდი სტალინი დაასახელა ჩვენი ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა კოლექტივმა. ბელადის თანხმობით აღფრთოვანებულმა ქარხნის ასეულობით სტახანოველმა იკისრა ახალი ვალდებულება. ისინი წარმატებით ასრულებენ თავიანთ სიტყვას. ამ დღეებში ათეულობით პატრიოტი მუშა არჩევნებისადმი მიძღვნილ სტახანოვურ ვახტზე დგას და სარეკორდო მაჩვენებლებს აღწევს.

ამხ. მამაცაშვილის მოხსენების შემდეგ დამსწრეთათვის გაიმართა დიდი კონცერტი დედაქალაქის საუკეთესო არტისტული ძალების მონაწილეობით.

სტალინური მარშრუტით

მრავალი ღონისძიება ტარდება № 53 საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა მომსახურებისათვის. 8 იანვარს დილის 12 საათისათვის ასოცზე მეტმა ამომრჩეველმა მოიყარა თავი ოლქში. მოსულთა შორის უმრავლესობა დიასახლისები იყვნენ. ბევრ მათგანს თან ახლდა ბავშვები. სპეციალური ტრანსპორტით მოეწყო ექსკურსია სტალინური მარშრუტით. ექსკურსანტებმა დაათვალიერეს ავლაბრის არალეგალური ბოლშევიკური სტამბა, ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალი და დიდი სტალინის ცხოვრებასთან და მოღვაწეობასთან დაკავშირებული სხვა ადგილები. ამომრჩევლებს მომსახურებას უწევდნენ კვალიფიციური კონსულტანტები.

ექსკურსიიდან ამომრჩევლები უაღრესად კმაყოფილნი დაბრუნდნენ.

თბილისის ყველა მშრომელის სახელით

ხვალ, 11 იანვარს № 105 საარჩევნო ოლქის ამომრჩევლები თბილისის ყველა მშრომელის სახელით საქალაქო საბჭოში აირჩევენ დიდი სტალინის უახლოეს თანამებრძოლს ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას.

№ 21 უბანში, სადაც შედის საქალაქო საბჭოს არჩევნების № 105 საარჩევნო ოლქი, გაცხოველებული მუშაობაა კაბინების მოსაწყობად, ოთახების მოსართავად. საარჩევნო კომისიის წევრებს აქტიურად ეხმარება დიასახლისი დარეჯან ქურციკიძე. იგი აგიტატორის მარჯვენა ხელია კამოს ქუჩაზე მდებარე № 48 სახლში, სადაც მისი ინიციატივით სისტემატურად გამოდის კედლის გაზეთი, ეწყობა კოლექტიური დასწრება კინოსურათებზე, სპექტაკლებზე. ახლა დარეჯანი უბნის მორთვაში იღებს მონაწილეობას. ასეთი აქტივისტები აქ ბევრია.

— მე დიდ პატივად მიმაჩნია შევასრულო საარჩევნო კომისიის ყოველი დავალება. ჩვენ წილად გვხვდა ბედნიერება ხმა მივცეთ ქართველი ხალხის საამაყო შვილს ლავრენტი ბერიას, — ამბობს დიასახლისი ვერა შუბლაძე. იგი აქტიური კედლკორია. მას არა ერთი ლექსი წარმოუთქვამს დეპუტატობის კანდიდატებთან გამართულ შეხვედრებზე.

№ 21 საარჩევნო უბნის კარი მუდამ ღიაა ამომრჩევლებისათვის. აქ იღებენ ისინი რჩევა-დარიგებას და კონკრეტულ დახმარებას ყველა საკითხზე. სისტემატურად იმართება აგიტპუნქტში და საცხოვრებელ ბინებში დიასახლისებთან მოხსენება-საუბრები, ლექციები.

ამომრჩეველთა საზეიმო განწყობილება თავის გამოხატულებას ჰპოვებს მათს ყოველდღიურ საქმიანობაში. თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, მაგალითად, ერთიორად იმატა წარჩინებულ სტუდენტთა რიცხვმა, რომლებიც პირველი სემესტრის საგნებს აბარებენ. დიდი შრომითი აღმავლობაა ოლქის ტერიტორიაზე მოთავსებულ ფარმაკო-ქიმიურ ქარხანაში, რომელმაც იანვრის პირველი ხუთდღიურის დავალება გადაჭარბებით შეასრულა.

საყოველთაო მშვიდობისათვის დაუღალავი მებრძოლი

მოლოტოვის რაიონში, როგორც საქართველოს ყველა ქალაქსა და სოფელში, სადღესასწაულო განწყობილებაა.

ხვალ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებია. ერთი წუთითაც არ წყდება საარჩევნო ოლქებსა და უბნებში მუშაობა. მიმდინარეობს უკანასკნელი სამზადისი.

მოლოტოვის რაიონის მშრომელებს წილად ხვდათ დიდი ბედნიერება. მათ რაიონში, თბილისის საქალაქო საბჭოს არჩევნების № 137 საარჩევნო ოლქში საქალაქო საბჭოს დეპუტატობაზე კენჭს იყრის დიდი სტალინის უახლოესი თანამებრძოლი, დიდი რუსი ხალხის სახელოვანი შვილი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვი.

№ 137 საარჩევნო ოლქის ცენტრია ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის შენობა. საოლქო საარჩევნო კომისიის ოთახი, აგიტპუნქტი სიყვარულით არის გაფორმებული. აქ დღემუდამ თავს იყრიან ამომრჩევლები. აგიტატორები ამომრჩევლებთან ატარებენ საუბრებს ამხანაგ მოლოტოვის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. ისინი უამბობენ მათ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს მიღწევებზე, საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებზე, რაიონის წარმატებებზე.

ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის მუშაკთა კოლექტივი არჩევნების დღეს თვალსაჩინო მიღწევებით ეგებება. კომბინატმა ახალი ხუთწლედის მეორე წლის გეგმა 130,6 პროცენტით შეასრულა. დეკემბრის დავალება შესრულებულია 137,6 პროცენტით. არჩევნებისათვის მზადების დღეებში საწარმოო დავალებათა გადაჭარბებით შესრულებაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი სტახანოველებმა შიო დემეტრაშვილმა, ვანო ჭრელაშვილმა, ილია აბაევმა, იპოლიტე კლარჯეიშვილმა, ქსენია რუხაძემ.

ასეთივე მაღალი მაჩვენებლებით ხვდება არჩევნების დღეს ამ საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე მდებარე პურტრესტის სატრანსპორტო-საექსპედიციო კანტორა, რომლის დირექტორი ამხ. ალ. ბათიაშვილი № 1 საარჩევნო უბნის საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეა. ამ საარჩევნო უბანში შედის საქალაქო საბჭოს არჩევნების № 137 საარჩევნო ოლქი, სადაც კენჭს იყრის ამხანაგი მოლოტოვი.

ახლა ჩვენი კოლექტივი,—ამბობს ამხ. ბათიაშვილი,—ყოველდღიურ დავალებებს 200-ზე მეტი პროცენტით ასრულებს.

საარჩევნო უბანში დიასახლისებს ვესაუბრეთ.

— ჩვენ გვინდა, რომ მშვიდობა, რაც ჩვენი შვილების სისხლის ფასად იქნა მოპოვებული, იყოს მტკიცე და ხანგრძლივი. ამიტომ ყველანი ერთსულოვანი დარაზმულობით მივალთ საარჩევნო ყუთთან 11 იანვარს და სიხარულით მივცემთ ხმას საყოველთაო მშვიდობისათვის დაუღალავ მებრძოლს, ქართველი ხალხის დიდ მეგობარს ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვს,—აცხადებენ ისინი.

ყველა ამომრჩეველი იზიარებს დიასახლისთა ამ აზრს.

დიდი საწარმოო აღმავლობა

თბილისის საქალაქო საბჭოს არჩევნების № 445 საარჩევნო ოლქში კენჭს იყრის დიდი სტალინის უახლოესი თანამებრძოლი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრი ანასტას ივანეს-ძე მიქოიანი.

ამხანაგ ა. ი. მიქოიანის კანდიდატურა თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობაზე თბილისის ხორცკომბინატის მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა კოლექტივმა წამოაყენა და კომბინატის მოწინავე სტახანოველებიც ამ დღეებში განსაკუთრებით ნაყოფიერად შრომობენ. ი. რაზმაძე, ი. მარიამიძე, ნ. კოსტენკო ყოველდღიურ ნორმას 300 პროცენტით ასრულებენ.

ოლქის ტერიტორიაზე მდებარე ინსტრუმენტალური ქარხნის კოლექტივი ახალი საწარმოო მიღწევებით ეგებება არჩევნებს. ქარხნის კოლექტივმა გასული წლის გეგმა 120,1 პროცენტით გაანაღდა. სტახანოველმა ზეინკალმა ს. ნიკოლაიშვილმა ოთხი წლის ნორმა შეასრულა. იგი არჩევნების აღსანიშნავად სტახანოვურ ვახტზე დგას და ყოველდღიურ დავალებას 500 პროცენტით ანაღდებს. ხარატმა ნაგერლიშვილმა შეასრულა სამი წლის ნორმა, ხოლო ე. ხანოვიჩმა — ექვსი წლის ნორმა. მჭედელი ი. რადნოვი ყოველდღიურ დავალებას 400 პროცენტით ანაღდებს. მან ამ დღეებში ხუთი წლის გეგმა შეასრულა.

11 იანვარს დიდი სიხარულით ეგებებიან ქალთა 27-ე საშუალო სკოლის მოსწავლეები, რომლებიც პირველად იღებენ არჩევნებში მონაწილეობას. მე-11 კლასის მოსწავლემ კომკავშირელმა როზა ფირანიშვილმა განაცხადა:

— 11 იანვარს მე პირველად მივიღებ მონაწილეობას არჩევნებში. ბედნიერი ვარ, რომ ხმას ვაძლევ სახელოვან ბოლშევიკს, დიდი სტალინის ერთგულ თანამებრძოლს ამხანაგ ანასტას ივანეს-ძე მიქოიანს!

№ 445 საარჩევნო ოლქში 18 აგიტატორი მუშაობს. ისინი ყოველდღიურად ატარებენ საუბრებს ამომრჩევლებთან. კომკავშირელმა აგიტატორმა ნ. მარაქველიძემ წინანდლის ქუჩაზე მდებარე № 8 სახლში მცხოვრებ ამომრჩევლებთან ჩაატარა საუბარი ამხანაგ მიქოიანის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. კარგად მუშაობენ აგიტატორები მ. საყვარელიძე, შ. მჭედლიძე და სხვ.

№ 445 საარჩევნო ოლქი ყოველმხრივ მზად არის არჩევნებისათვის.

ლენინ-სტალინის პარტიის ერთგული შვილი

იანვრის პირველი დღეები ახალი საწარმოო აღმავლობით აღინიშნა დედაქალაქის კიროვის რაიონის მოწინავე საწარმოებში. გეგმას წარმატებით ასრულებს მეორე სამკერვალო ფაბრიკა, რომლის კოლექტივმაც თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა სახელოვანი სტალინელი გიორგი მაქსიმილიანეს-ძე მალენკოვი. ფაბრიკის ბევრი სტახანოველი და ბრიგადა სტახანოვურ ვახტზე დადგა ამხანაგ გ. მ. მალენკოვისაგან კენჭისყრაზე თანხმობის მიღების აღსანიშნავად და უკვე ათიათასობით მანეთის პროდუქცია მისცა სამშობლოს გეგმის გადამეტებით.

7 იანვარს ბალნეოლოგიური კურორტის შენობაში შესდგა № 289 საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრება, რომელიც გახსნა საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ამხ. ო. ჯანჯღავამ. ნდობით აღჭურვილი პირი ამხ. აბუსერიძე ვრცლად ახასიათებს დიდი სტალინის ერთგული თანამებრძოლის გ. მ. მალენკოვის, როგორც ლენინ-სტალინის ტიპის სახელმწიფო მოღვაწის დამსახურებას საბჭოთა ხალხის წინაშე.

— ჩვენი სამშობლოს ყველა გამარჯვება, — ამბობს ამომრჩეველი ამხ. ნ. ასლანიკაშვილი, — მოპოვებულია ლენინ-სტალინის პარტიის, საბჭოთა მთავრობის, დიდი სტალინის ხელმძღვანელობით. ამხანაგი მალენკოვი სტალინური ტიპის სახელმწიფო მოღვაწეა, რომელიც მთელ თავის ენერგიას ახმარს მშრომელი ხალხის კეთილდღეობის საქმეს. მე სიხარულით მივცემ მას ხმას.

ბალნეოლოგიური კურორტის შენობაში მოთავსებულია № 8 საარჩევნო უბანი, რომელშიც შედის № 289 საარჩევნო ოლქი. უბანი უკვე მზად არის არჩევნებისათვის. მოწყობილია ხუთი კაბინი, სადაც დადგმულია მაგიდები, სკამები, აწყვია ფანქრები და გაყვანილია ელექტროსინათლე. მოაწყეს დედათა და ბავშვთა ოთახი, დარბაზი კულტურული გასართობებისათვის და მოსაცდელი ოთახი.

საქართველოს ბოლშევიკების მებრძოლი ხელმძღვანელი

ხელოვნების მუშაკთა სახლი ლამაზადაა მორთული. ამ შენობაში მოთავსებულია თბილისის საქალაქო საბჭოს არჩევნების № 229 საარჩევნო ოლქის საოლქო და ბერიას რაიონის № 5 საარჩევნო უბნის საუბნო საარჩევნო კომისიები. მათ ბევრი რამ გაუკეთებიათ ამომრჩეველთა უკეთ მომსახურებისათვის.

უბნის აგიტპუნქტში ამომრჩევლები დაწვრილებით ეცნობიან დეპუტატობის კანდიდატთა ბიოგრაფიას, მათს მოღვაწეობას, მათ დამსახურებას ხალხის წინაშე.

— ჩემმა ამომრჩევლებმა,—გვითხრა აგიტატორმა ამხ. ნ. კოშკაძემ, — დიდი ინტერესით მოისმინეს დეპუტატობის კანდიდატის ამხანაგ კანდიდ ნესტორის-ძე ჩარკვიანის ბიოგრაფია. როცა საუბარი დავამთავრე, ვიკითხე, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვა. დიასახლისმა ე. გოგიტიძემ ასე მომმართა: „შვილო, არ გეგონოს, თითქოს იმიტომ გისმენდეთ ასე ყურადღებით, რომ ჩვენ არ ვიცნობთ კანდიდ ნესტორის-ძე ჩარკვიანს. საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელს ჩვენ კარგად ვიცნობთ მისი საქმეებით, მისი ზრუნვით მშრომელებისათვის“.

დეპუტატობის კანდიდატის სასარგებლო აგიტაციას რომ ეწევიან, აგიტატორები დაწვრილებით უამბობენ ამომრჩევლებს, თუ როგორ იზრდება ჩვენი ქალაქი, როგორ ვითარდება საბჭოთა საქართველოს ეკონომიკა და კულტურა. აგიტპუნქტში და მოსახლეობაში სისტემატურად ეწყობა ლექციები და მოხსენებები არჩევნების საკითხებზე, საბჭოთა კავშირის, საქართველოს, მისი დედაქალაქის სახალხო მეურნეობის, ლიტერატურის, ხელოვნების მიღწევებზე.

საარჩევნო უბანში არჩევნების დღისათვის აწყობენ დედათა და ბავშვთა ოთახს, გასართობ ოთახს, ბუფეტს და სხვ.

ის საზეიმო განწყობილება, რაც ახლა № 5 საარჩევნო უბანშია, დამახასიათებელია მთელი რაიონისათვის, მისი საწარმო-დაწესებულებებისათვის. რადიოქარხანა, რომელიც რაიონის ერთ-ერთი ძირითადი საწარმოა, ამ დღეებში სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებს დავალებებს.

— საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის თანამშრომლები, — ამბობს ნდობით აღჭურვილი პირი აკადემიკოსი ა. ჯანელიძე,—რომლებმაც დაასახელეს ამხანაგი კანდიდ ჩარკვიანი საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად, მთელი ენერგიით მუშაობენ მეცნიერულ თემებზე, ამუშავებენ ჩვენი სამშობლოს ეკონომიკისა და კულტურის უმნიშვნელოვანეს საკითხებს.

ხვალ საყოველთაო სახალხო ზეიმის დღეა. დიდ სტალინზე ფიქრით, სამშობლოსადმი მხურვალე სიყვარულით გამსჭვალული ამომრჩევლები ერთსულოვნად მისცემენ ხმას ამხანაგ კ. ნ. ჩარკვიანს, საქართველოს ბოლშევიკების ნაცად ხელმძღვანელს.

ჰიტლერის უკანასკნელი დღეები*)

გერმანელი ოფიცრის ჰერჰარდ ბოლდტის ნაამბობის მიხედვით

შიდა „გვარდიის“ მეორე ტიპიური წარმომადგენელი იყო რაიხსგაუფტამტსლაიტერი ზაუერი, რომელიც შპეერის დროს ხელმძღვანელობდა იარაღისა და საბრძოლო მასალის მთელ წარმოებას. უსინდისო ინტრიგანი და მატყუარა, ხარისკისრით, იგი უკვე თავისი გარეგნობით ჰგავდა იმ ადამიანებს, რომლებიც ჰიტლერს თითქოს უყვარდა. იგიც იწვოდა ძალაუფლების დაუცხრომელი წყურვილით. 1945 წლის მარტში მძიმე ბრძოლების დროს უნგრეთში, მას ახალი ცეცხლმსროლელი იარაღით სასწრაფოდ უნდა მოემარაგებინა საარმიო ჯგუფი „სამხრეთი“. იმ დროისათვის საშიში მდგომარეობა შეიქმნა ცენტრალური სლოვაკიის ერთ-ერთი უდიდესი სამხედრო ქარხნისათვის, ვინაიდან ფრონტი მას მიუახლოვდა. ამ ქარხანაში იყო 20 ათასამდე შაშხანა. ჰიტლერმა რომ ეს გაიგო, დაუძახა შპეერს და უბრძანა სასწრაფოდ მიეწოდებინა ეს იარაღი საარმიო ჯგუფ „სამხრეთისათვის“. შპეერმა იქვე არ გასცა დამაკმაყოფილებელი პასუხი. ჰიტლერმა იგი ფეხზე მდგომი დასტოვა და ბრძანა ზაუერისათვის დაეძახებინათ. ზაუერმა ქუსლი-ქუსლს მიარტყა, ხელი მაღლა აწია და გაბრწყინებული თვალებით მიესალმა ჰიტლერს ხმა მაღალი ძახილით „ჰაილ, ფიურერ!“. აი ეს ჰიტლერულად იყო! როცა ჰიტლერმა აუხსნა მას, თუ რაში იყო საქმე, იგი რასაკვირველია, სწრაფად აღფრთოვანდა და დათანხმდა ეს იარაღი ჯარებისათვის მიეწოდებინა ორი დღის შემდეგ. ჰიტლერი კმაყოფილი იყო, ჯარები კი არც თუ ისე, ვინაიდან მათ ვერ მიიღეს ეს იარაღი, რადგან შაშხანები ჯერ აწყობილიც კი არ იყო. თავის ანდერძში ჰიტლერმა ზაუერი შპეერის მემკვიდრედ დანიშნა.

16 აპრილს გაჩაღდა ბრძოლა ოდერზე, — უკანასკნელი დიდი ბრძოლა გერმანიაში. წარმოუდგენელი ძალის ცეცხლი, რომელიც მოწინააღმდეგემ გათენებისას გაჩაღა ბერლინის აღმოსავლეთით, თითქოს საზარელი დრამის უკანასკნელი აქტის დასაწყისი იყო. რამდენიმე კილომეტრის მანძილზე სიღრმეშიც და სიგანეშიც რუსული ბატარიები განლაგებული იყო ძალიან მჭიდროდ. უკანასკნელად მეორე მსოფლიო ომში გერმანელი ჯარისკაცები საათნახევრის ქარიშხლისებური ცეცხლის შემდეგ წამოდგნენ თავიანთი სანგრებიდან, რათა უკუეგდოთ წითელი არმიის შემოტევა.

დედაქალაქის ქუჩებში შეშფოთებული გამოცოცხლებაა... ქვემეხების ყრუ თანაბარმა გუგუნმა აიძულა მცხოვრებლები დილაადრიანვე გამოსულიყვნენ თავიანთი სახლებიდან და სარდაფებიდან. ფოლკსშტურმის ნაწილები მიეჩქარებიან შესაკრებ პუნქტებზე. უკვე შუადღისათვის მათი პირველი რაზმები საგარეუბნო მეტროთი მიემგზავრებიან მომზადებული პოზიციებისაკენ ფრონტის ხაზის იქით. ბერლინში ტანკსაწინააღმდეგო დაბრკოლებებში და მის გარშემო დატოვებულია მხოლოდ ერთი ვიწრო გასასვლელი. ხან აქ და ხან იქ ქუჩაში გამოდიან ქალები და ქალიშვილები და შიშით უგდებენ ყურს ფრონტის სულ უფრო მზარდ გუგუნს. შემოიჭრება თუ არა წითელი ნიაღვარი ქალაქში, თუ მოხერხდება მისი შეკავება, ვიდრე ბერლინში ამერიკელები მოვლენ? — კითხულობ ამ ერთ და იმავე კითხვას მწუხარებისაგან დამანჭულ ადამიანთა სახეებზე, რომლებიც რიგში ჩამდგარან სასურსათო დუქნებთან. მხოლოდ ეს იმედი აჩერებს მათ პანიკისაგან — ამერიკელთა იმედი. ისინი უნდა მოვიდნენ, უნდა მოვიდნენ...

მე ჩემს საწერ მაგიდას ვუზივარ გენერალ კრებსის მისაღებ ოთახში ცოსენის შტაბში. განუწყვეტლივ რეკავს ტელეფონი, ზოგჯერ სამი აპარატი ერთად. რეკავს ჩემი უფროსი. ორმაგი სქელი კარით მე შევდივარ მის კაბინეტში და ვეკითხები, თუ რა სურს. იგი დიდი მაგიდის მარცხენა მხარეზე დგას და დასცქერის ოდერის ფრონტის რუკას, რომელზეც წითელი და ლურჯი ნიშნებია. მე მიხდება მოვაგონო მას ჩემი იქ ყოფნის შესახებ. მაშინ იგი წელში სწორდება. პატარა, მრგვალი და ჩვეულებრივ ასეთი მხიარული გენერალი, დაღლილი და სერიოზულია. „დიახ, მე მსურს გთხოვოთ, რომ შემაერთოთ გენერალ ბურგდორფთან. მე მსურს, ბოლოსდაბოლოს, ვიცოდე, სად უნდა გადავიტანოთ ჩვენი შტაბსადგომი. სინჯეთ აგრეთვე დაუკავშირდეთ ბერხტენგადენს. დამიძახეთ ფრეიტაგს და შეგიძლიათ მომიტანოთ კიდევ ერთი ჰიქა ვერმუტი“. იგი განსაკუთრებით სიამოვნებით სვამდა თეთრ ვერმუტს და მე განვაგებდი ამ საქმეს. ღვინო იდგა ჩემი სეიფის ქვემო თაროზე, რომლის გვერდით იყო სიგარები სტუმრებისათვის. მე ვბრუნდები ჩემს ოთახში და ვუკვეთავ ორივე ლაპარაკს ტელეფონით.

შემდეგ მივდივარ ადიუტანტ ფრეიტაგ ფონ ლორინგჰოვენთან. ეს მან მაცნობა დღეს დილით, რომ რუსებმა კიუსტრინთან გრიგალისებური ცეცხლი დაგვიშინეს და საათნახევრის შემდეგ შეტევაზე გადმოვიდნენ. ახლა ათ საათს ცოტა უკლია. უკანასკნელ საათში ცნობები ფრონტიდან სულ უფრო ნაკლები მოდის. ალბათ დაზიანებულია სადენები.

დროის მიხედვით ბრძოლა ახლა გაჩაღებული უნდა იყოს. უნებლიეთ ვფიქრობ ამხანაგებზე. რამდენჯერ ომის ამ წლებში მე თვით ვმონაწილეობდი ყოველივე ამაში და მათთან ერთად იქ, იმ ჯოჯოხეთში, ფრჩხილებით ვკორტნიდი მიწას და მასში ვეძებდი ხსნას. ოღონდ ეს ხდებოდა არა წმინდა მშობლიურ მიწა-წყალზე, არამედ რუსეთის დაუსრულებელ სივრცეებზე. ჩვენთვის, ახალგაზრდებისათვის, უკეთესი იქნებოდა მათთან ერთად ფრონტზე ვყოფილიყავით. ისე ძნელია ეს უილაჯო მოლოდინი, ეს შეგნება შენი ბრძოლის უიმედობისა. ვინც ყოველთვის თრთოდა საკუთარი სიცოცხლისათვის, იმან არ იცის ეს გრძნობები. მან არ იცის, თუ რას ნიშნავს ეგდო მძიმედ დაჭრილი ბრძოლის ველზე, არ იცის რას ნიშნავს კვლავ დაინახო ამხანაგები, რომლებსაც ამოჰყვეხარ ტალახით სავსე ორმოდან. ეს განცდები განუყრელი კავშირით აახლოვებს ადამიანებს და ჩემთვის ორჯერ უფრო ძნელია ჩემი დაშორების შეგნება.

მე და ფრეიტაგი რამდენიმე წუთს ჩუმად ვდგევართ ერთი მეორის პირდაპირ, გართულნი ჩვენი ფიქრებით. ფიქრები კი ჩვენ ალბათ ერთნაირი გვაქვს. იგი—ეს მაღალი, ლამაზი ფრეიტაგ ფონ ლორინგჰოვენი, რომლის გრძნობებს ვერასოდეს ვერ მიუხვდები, ახლა ასე დაღლილი გამოიყურება. ჩვენ ხომ დღედაღამ განუწყვეტლივ ვმუშაობთ. იგი წელში სწორდება და მიდის უფროსთან. მე ვიღებ სეიფიდან ვერმუტს და ჰიქაში ვასხამ.

VIII

მალე ხანმოკლე საგანგაშო სიგნალის შემდეგ ხმაურით გადაგვიქროლა რუსების ხუთმა ავიაგამანადგურებელმა. ეს არაჩვეულებრივი მოვლენაა, წინათ რუსების თვითმფრინავები იშვიათად ბედავდნენ 20 კილომეტრზე მეტი სიღრმით მოწინააღმდეგის ზურგში ფრენას, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გერმანელთა ავიაგამანადგურებლები ნამდვილად არ იყვნენ ფრენის ადგილას. ტელეფონი განუწყვეტლივ რეკს. გაისმის ერთი და იგივე კითხვა: „არის თუ არა ახალი ცნობები ფრონტიდან?“. 11 საათისათვის ჩემი ოთახი გენერლებითა და პოლკოვნიკებით აივსო, 11 საათზე უფროსთან იწყება თათბირი. დღეს თათბირი ჩვეულებრივზე უფრო გაცხოველებულია. „სად გადავბარგდებით? რა უნდა მოვიმზადოთ?“. ჯერ კიდევ არის შესაძლებლობა ბერხტესჰადენში მოვხვდეთ ბოჰემიაზე გავლით, მაგრამ განა დიდხანს გვექნება ეს შესაძლებლობა? ბურგდორფისა და კრებსის მოლაპარაკებამაც ვერაფერი გაარკვია. ჰიტლერი ჯერაც ვერ იღებს გადაწყვეტილებას. თათბირის დროს ტელეფონით მეძახის ბერხტესჰადენი, ლაპარაკობს ჩვენ მიერ წინ გაგზავნილი რაზმის ერთ-ერთი ფელდფებელი. რამდენიმე დღის წინათ იგი ჩქარი მატარებლით ჩავიდა იქ. მან წაიყვანა უფროსის ცოლი და ქალიშვილი. მე გამოვკითხე ყოველივე, რაც გენერალს სურდა გაეგო. „რა მოგვივა?“—მეკითხება იგი ტელეფონით. მე საიდან უნდა ვიცოდე ეს! საერთოდ ვინ იცის გერმანიაში, თუ რა მოხდება?

ნაშუადღევს ფრონტიდან მოგვდის პირველი დაწვრილებითი ცნობა: „იერიში მოგერიებულია. იმ უბნებზე, სადაც მოწინააღმდეგე რამდენადმე სოლივით შემოიჭრა ჩვენს განლაგებაში, ბრძოლა კიდევ გრძელდება. ზარალი ძალიან დიდია“. ამრიგად, ფორმულირება კვლავ წინანდებურია, იგი ყველასათვის ცნობილია: შემოჭრა დიდი არაა, ხოლო ზარალი მძიმეა და საომარი მასალა არა გვაქვს. არ მოგვეპოვება არც ადამიანები, არც საომარი მასალა. ასე იყო ვოლხოვზე, ილმენის ტბასთან, პრიპიატზე, ვარშავის მახლობლად... დღისით, სრულ 16 საათზე, კვლავ იწყება გრიგალისებრი სროლა, კვლავ საათნახევარს გრძელდება, მერმე კი ზედიზედ მოაქვთ იერიში. მოწინავე ხაზიდან მიღებულ საღამოს ცნობებში ნათქვამია: „ფრონტის მთლიანობას ჯერჯერობით ვინარჩუნებთ. საკმაოდ ღრმად შემოჭრას გზა გადავუღობეთ. გამოგვიგზავნეთ ჯარისკაცები, მოგვაშველეთ საომარი მასალა!“.

საღამოს 10 საათისათვის სამხედრო თათბირის შემდეგ საიმპერიო კანცელარიიდან ბრუნდებიან კრებსი და ბარონი, რომელიც მას თან ახლდა დღეს. მე უკვე გავეცი ბრძანება, რომ თვითეული მათგანისათვის მოეტანათ მსუბუქი ვახშამი, რადგან ნამდვილი მუშაობა ახლა იწყება და, ალბათ, თუ მთელ ღამეს არა, დილის 3-4 საათამდე მაინც გაგრძელდება. ყავის სმის დროს ბარონი გვიამბობს: „ამაღამ იძულებული ვიქნებით პოზიციები დავტოვოთ კიუსტრინის დასავლეთით. თავდაცვის წინაკიდე გარდენბერგისაკენ გადაინაცვლებს. მოწინავე ხაზზე თითქმის ყველაფერი დამთავრდა. გარდენბერგთან ისინი კიდევ გასძლებენ დაახლოებით ერთ დღე-ღამეს. დასავლეთითაც ცუდი მდგომარეობაა. ჩრდილოეთით ინგლისელები ლუნებურგს უტევენ. ამერიკელებმა ელბა გადმოლახეს მაგდებურგსა და დესაუს შორის და ახლა უფრო ახლო არიან ბერლინთან, ვიდრე რუსები. საქსონიაში ისინი წინ მიიწევენ გალესა და ლაიფციგის მიმართულებით, რაც შეეხება სამხრეთს, ისინი უკვე ბავარიაში არიან. რუსები იმყოფებიან ბრნოს მახლობლად და ვენის დასავლეთით“.

ბარონი ლაპარაკს ამთავრებს და პირდაპირ ჩაშტერებია ერთ წერტილს: ალბათ, ფიქრობს ცოლსა და შვილზე, რომლებიც ლაიფციგის მახლობლად არიან. „მე მინდა კიდევ ვთქვა, — ამბობს იგი,—რომ როცა ტემპელჰოფი გამოვიარეთ, იქ ვიღაც ადამიანები მოგვყიროდნენ: „სისხლისმსმელებო, სისხლისმსმელებო!“ იგი მიდის საწერ მაგიდასთან და ათვალიერებს შემოსულ მასალას.

მეორე დღეს, ე. ი. 17 აპრილს, ბერლინისათვის ბრძოლა შეუნელებელი გააფთრებით გრძელდება. გერმანელთა დივიზიები განუწყვეტლივ უკან იხევენ რუსების შემოტევის გამო. 18 აპრილია. ნამდვილი მზიანი გაზაფხულია. ახალი მძიმე ბრძოლები ჩაღდება. რუსების შემოტევა ძლიერდება სამხრეთისაკენ. სილეზიასა და ლუჟიცის ტყეებში, სადაც მოწინააღმდეგის უპირატესობა კიდევ უფრო ძლიერია, სასტიკი ბრძოლა სწარმოებს. დაახლოებით დილის 9 საათზე ერთმა ჩვენმა მეკავშირემ კვლავ მოახერხა ტელეფონით საუბარი ლუბეკში მყოფ ჩემ ცოლთან. თუმცა მან არ იცის მდგომარეობის მთელი უიმედობა, მაგრამ მაინც უაღრესად შეშფოთებულია: „ამბობენ რუსები უკვე ბერლინის მიდამოში არიან. ძალიან მეშინია, საფრთხეში არ ჩავარდე. დიქს, გესმის? ხომ არ შეგიძლია ჩემთან ჩამოხვიდე? რა მოგვივა? აქ ამბობენ, ინგლისელები ლუნებურგთან არიანო. მართალია თუ არა ეს?“ მე პასუხის გაცემასაც ვერ ვასწრებ ყველა ამ შეშფოთებულ კითხვაზე. ლაპარაკი შეწყდა. ოთხიოდე კვირის შემდეგ მას აცნობეს, თითქოს მე ბერლინში დავიღუპე.

19 აპრილი. ზვავი შეუჩერებლივ მოიწევს. ფრანკფურტის ორივე მხარეს გერმანელთა თავდაცვა ოდერზე ჯერ კიდევ შენარჩუნებულია, მაგრამ ორანიენბურგთან და ბერლინის აღმოსავლეთით რუსები უკვე საშიშრად მოუახლოვდნენ ქალაქის გარეუბნებს. სამხრეთით, ლუჟიცაში, ტანკების დიდი ძალები ღრმად შემოიჭრნენ ჩვენს თავდაცვაში. აქ ბრძოლა განსაკუთრებით შეუპოვარია და ყველაფერი გამოყენებულია ბრძოლაში, რის გამოყენებაც კი შეიძლებოდა. ამ დღეს გებელსმა მიკროფონთან წაიკითხა მოწოდება გერმანელი ხალხისადმი, რაც მეორე დღეს, ე. ი. 20 აპრილს, დაიბეჭდა ყველა გაზეთში. მოწოდებაში, სხვათა შორის, ნათქვამია: „...ბერლინი გერმანული დარჩება. ვენა კვლავ გერმანული გახდება“. მილიონობით გერმანელმა შვებით ამოისუნთქა. „ეს ფიურერმა სთქვა, ფიურერმა კი ნამდვილად იცის“. როგორ შეუძლიათ მათ ეჭვი ეპარებოდეთ, მათ ხომ წლობით ატყუებდნენ და შეაჩვიეს გებელსის პროპაგანდის დაჯერება. ყბადაღებული საიდუმლო იარაღი, რასაკვირველია, ამოქმედდება უახლოეს დღეებსა თუ საათებში, და მაშინ... გარდა ამისა, რუსები და ამერიკელები ხომ მალე შეხვდებიან ერთმანეთს, ხოლო მაშინ... პროპაგანდის მიზნით ხმების გავრცელებით გებელსი აღწევს იმას, რომ ბერლინის მახლობლად მებრძოლ გერმანელ ჯარისკაცთა უმრავლესობას მართლაც სჯერა, რომ ამერიკელები ყოველ მომენტში მიეშველებიან მათ რუსების წინააღმდეგ ბრძოლაში. გაცილებით უფრო უხეში ხრიკებიც. ავრცელებენ ხმებს არმიაზე, რომელსაც ხსნა მოაქვს, ბერლინში ჰყრიან ფურცლებს: „ვენკის არმია მოვა და მოგიტანთ განთავისუფლებასა და გამარჯვებას“. ბერლინელებსა და ჯარისკაცებს ეს სჯერათ. მაგრამ ეს მე-12 არმია, რომელიც თავისი სარდლის ჯავშანსატანკო ჯარების გენერალ ვენკის სახელს ატარებს, არმია როდია. მისი 9 დივიზიიდან 6 დივიზია მხოლოდ ქაღალდზეა. მთლიანად დაკომპლექტებულია მხოლოდ 3 დივიზია, ე. ი. ერთი კორპუსი, ამ კორპუსს მეთაურობს კავალერიის გენერალი კელერი. იგი ორი კვირის წინათ ჩამოვიდა ნორვეგიიდან და, როცა ჩემს უფროსთან გამოცხადდა, მიამბო, რომ ახლახან მიიღო ცნობა თავისი ერთადერთი ვაჟის დაღუპვის შესახებ. მისი სამი დივიზია ძალიან ცუდად არის გამოწყობილი და შეიარაღებული. ეს დივიზიები თითქმის 90 პროცენტით შესდგებიან ოფიცერთა სკოლების 17-18 წლის კურსანტებისაგან, რომელთაც ბრძოლის ველი თვალით არ უნახავთ. ზოგიერთ ათეულში ჯარისკაცთა ნახევარსაც კი არ აქვს იარაღი, ახლა ამ ყმაწვილებსაც სასიკვდილოდ გაგზავნიან. ასეთია „არმია რომელსაც ხსნა მოაქვს“. როცა ეს არმია ვენკს ჩააბარა—ეს 5 თუ 6 აპრილს იყო,—ჰიტლერმა დიდის ამბით წარმოსთქვა: „ვენკ, თქვენ გაბარებთ გერმანიის ბედს!“.

20 აპრილს, იმ დღეს, როცა ჰიტლერს 56 წელი შეუსრულდა, რუსები გამოიჭრნენ ჩრდილოეთის მიმართულებით გუბენსა და ფორსტს შორის, ხოლო საღამოს უკვე მოაღწიეს მდინარე შპრეეს ტყეებამდე. სახმელეთო ჯარების მთავარმა სარდლობამ მტრის დასახვედრად ლუკაუში (25 კილომეტრზე ცოსენის სამხრეთით) გაგზავნა თავისი უკანასკნელი პირადი რეზერვები—კარგად შეიარაღებული ესკადრონი გაძლიერებული, დაახლოებით 250 კაცის შემადგენლობით. ამრიგად, 250 კაცია რუსების ასობით ტანკისა და თვითმფრინავის წინააღმდეგ! დილის 6 საათზე ტელეფონის ზარმა გამაღვიძა. რეკავდა ამ ესკადრონის მეთაური ობერ-ლეიტენანტი კრენკელი. ლაპარაკობდა თვითონ კრენკელი: „რუსების 40-მდე ტანკი გამოიჭრა ჩვენს ახლოს. 7 საათზე იერიშს მივიტან“. ჩვენი შტაბ-სადგომისა და ბერლინისათვის ეს ყველაზე საშიში ლახვარი იყო. რეზერვები აღარ მოგვეპოვებოდა. ვენკი ამერიკელთა წინააღმდეგ იბრძოდა ელბაზე. დილის 9 საათზე კრენკელმა კვლავ დარეკა: „ჩვენს იერიშს წარმატება არ მოჰყოლია. მძიმე ზარალი მოგვივიდა. ჩვენი სატანკო დაზვერვა იუწყება, რომ მოწინააღმდეგის ტანკები წინ მოიწევენ ჩრდილოეთისაკენ“. ჩემმა უფროსმა ეს ცნობა დაუყოვნებლივ გადასცა საიმპერიო კანცელარიას. ახლა, ბოლოსდაბოლოს, უნდა იქნას მიღებული გადაწყვეტილება შტაბ-სადგომის გადატანის შესახებ. მაგრამ ჰიტლერი ჯერ კიდევ ყოყმანობს. მალე მოდის ცნობები, რომ რუსები შემოიჭრნენ ბერლინის ჩრდილოეთით და აიღეს ორანიენბურგი. ეს ცნობა ელვის სისწრაფით გავრცელდა. მე ტელეფონს არ ვშორდები, მეკითხებიან ერთსა და იმავეს: „მაინც შესდგება თუ არა დღეს თათბირი?“ მე ვაძლევ ერთსა და იმავე პასუხს: „სიტუაცია, როგორც ჩვეულებრივ. განხილულ იქნება 11 საათზე“. ჩემი უფროსის ბრძანების მიუხედავად, განკარგულებას ვიძლევი, რომ ყველაფერი მოამზადონ სასწრაფო უკანდახევისათვის. თათბირის დაწყებამდე ჩემს ოთახში სკასავით ზუზუნია. შემოდიან და გადიან მეკავ-

(გაგრძელება მე-4 გვერდზე)

---

*) გაგრძელება. იხ. „კომუნისტი“ № 4, № 5, № 6.

გოტვალდის პასუხი გაზეთ „გლოს ლუდუს" შეკითხვებზე

პრაღა, 6 იანვარი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის მთავრობის პრემიერ-მინისტრმა კლემენტ გოტვალდმა პასუხი გასცა პოლონური გაზეთის „გლოს ლუდუს" რედაქციის მიერ მიცემულ შეკითხვებზე.

პასუხად პირველი შეკითხვისა, თუ რა დაგვანახვა მეგობრობისა და ურთიერთდახმარების შესახებ ჩეხოსლოვაკია-პოლონეთის ხელშეკრულების განხორციელების გამოცდილებამ, გოტვალდმა აღნიშნა, რომ ჩეხოსლოვაკია-პოლონეთის ხელშეკრულებამ კავშირის, ურთიერთდახმარებისა და მეგობრობის შესახებ სავსებით გაამართლა თავისი დანიშნულება და ჩეხოსლოვაკია-პოლონეთის მეგობრობის შემდგომი განმტკიცების მკვიდრი საფუძველი გახდა. ეს ხელშეკრულება სრულფასოვანი გამოდგა როგორც ეკონომიურად და კულტურულად, ისე საერთაშორისო პოლიტიკის დარგში თანამშრომლობის მხრივ. ამან განსაკუთრებით იჩინა თავი ამ უკანასკნელ ხანს გერმანიის საკითხში პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის ერთობლივი მოქმედებით.

შეკითხვაზე, თუ რა გავლენას ახდენს პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის სავაჭრო შეთანხმება ორივე ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებაზე, გოტვალდმა უპასუხა, რომ ეს შეთანხმება ჰქმნის წინაპირობებს ეკონომიკის ყველა დარგში ორივე სახელმწიფოს ფართო თანამშრომლობისათვის. ახლანდელი პოლონეთის სამრეწველო სტრუქტურა შესაძლებლობას იძლევა პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის მრეწველობის ურთიერთშევსებისათვის მრავალ დარგში.

შემდეგ მიცემულ იქნა შეკითხვა: საერთაშორისო რეაქცია ბევრ რამეს მოელოდა ეგრეთწოდებული სლოვაკიის კრიზისისაგან. როგორ ვითარდება ამჟამად სლოვაკიის ამბები? ამის პასუხად გოტვალდმა განაცხადა:

— სლოვაკიის ანტისახელმწიფოებრივ შეთქმულთა წინააღმდეგ მიღებულმა ენერგიულმა ღონისძიებებმა, აგრეთვე რწმუნებულთა ახალი კორპუსის ჩამოყალიბებამ ცხადჰყო, რომ ჩეხოსლოვაკიის დემოკრატიას საკმაო ძალა მოეპოვება ეგრეთწოდებული სლოვაკიის კრიზისის ლიკვიდაციისათვის. სლოვაკიის მშრომელთა უდიდესი უმრავლესობა ამ გადაწყვეტილების მომხრეა. მიუხედავად იმისა, რომ არსებული მდგომარეობა ჯერ კიდევ არ ნიშნავს ამ კრიზისის სრულ ლიკვიდაციას, თამამად შეიძლება ითქვას, რომ საერთაშორისო რეაქციის იმედები, რომ სლოვაკიაში შეიქმნებოდა არევდარევისა და შეშფოთების კერა, გაქარწყლდა. უპასუხა რა შეკითხვაზე, როგორ აფასებთ საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის სავაჭრო შეთანხმებას, გოტვალდმა სთქვა, რომ საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის სავაჭრო შეთანხმება, რომელიც 5 წლით დაიდო, წარმოადგენს ყველაზე დიდ შეთანხმებას, რაც კი ჩეხოსლოვაკიას დღემდე დაუდვია, და წარმოადგენს ჩეხოსლოვაკიის უახლოესი 5 წლის ეკონომიური დაგეგმვის საფუძველს. საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის შეთანხმება დაფუძნებულია რეალურ ბაზისზე და დიდ სარგებლობას მოუტანს ორივე ქვეყანას. იგი არავითარ პოლიტიკურ პირობას არ შეიცავს.

შეკითხვაზე, გერმანიის საკითხის რა გადაწყვეტა მიგაჩნიათ სლავურ სახელმწიფოთა უშიშროების საკმაო გარანტიად, გოტვალდმა უპასუხა: ჩეხოსლოვაკიის თვალსაზრისი გერმანიის საკითხზე სავსებით შეესაბამება პოლონეთის, საბჭოთა კავშირისა და სხვა სლავურ სახელმწიფოთა თვალსაზრისს. საჭიროა მივაღწიოთ იმას, რომ გერმანია ველარ დაუბრუნდეს თავის აგრესიულ პოლიტიკას. საჭიროა მთელ გერმანიაში გატარდეს დემილიტარიზაცია, დენაციფიკაცია და დემოკრატიზაცია, ისე, როგორც ეს გააკეთა საბჭოთა კავშირმა თავის საოკუპაციო ზონაში. შემდეგ საჭიროა მივაღწიოთ იმას, რომ გერმანიამ რეპარაციები გადაიხადოს იალტისა და პოტსდამის შეთანხმებათა საფუძველზე. ჩეხოსლოვაკია და პოლონეთი განსაკუთრებით არიან დაინტერესებულნი იმით, რომ მათი ტერიტორიიდან გასახლებული გერმანელები მოკლებული იყვნენ ჩეხოსლოვაკიისა და პოლონეთის წინააღმდეგ რევიზიონისტული პროპაგანდის წარმოების საშუალებას. გერმანიის აგრესიის განახლების წინააღმდეგ აუცილებელ გარანტიათა რიცხვს ეკუთვნის ის, რომ საზღვარი უნდა გადიოდეს ოდერსა და ნაისზე.

ჰიტლერელი დიპლომატების, მინისტრებისა და ფინანსისტების პროცესი

ლონდონი, 8 იანვარი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, 21 ყოფილი ჰიტლერელი დიპლომატის, მინისტრისა და ფინანსისტის პროცესზე წაკითხულ იქნა საბრალდებო დასკვნა. დამნაშავეებს ბრალად ედებათ აგრესიული ომის წარმოება, სხვა ქვეყნების ოკუპაციის დროს ჩადენილი დანაშაულობანი, ძარცვა, სამხედრო ტყვეებისა და მძევლების დახოცვა, ებრაელთა ჟლეტა, მონური შრომის გამოყენება, სს-ელთა ორგანიზაციებში მონაწილეობა და ამ დანაშაულობათა ჩადენის შესახებ საერთო ფარული შეთანხმება. ბრალდებულის სკამზე არიან საგარეო საქმეთა სამინისტროს ყოფილი სტატს-მდივნები ვაიცზეკერი, შტეენგრახტ ფონ მოილანდი, კეპლერი; ჰიტლერული პარტიის საზღვარგარეთული ორგანიზაციის ყოფილი მეთაური ბოლე; საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური განყოფილების ყოფილი უფროსი ვერმანი; ყოფილი ელჩი უნგრეთში ედმუნდ ვეზენმაიერი; საიმპერიო კანცელარიის ყოფილი უფროსი ჰენრიხ ლამერსი; სურსათისა და სოფლის მეურნეობის ყოფილი მინისტრი ვალტერ დარე; ჰიტლერის პირადი კანცელარიის ყოფილი უფროსი ოტო მაისნერი; პროპაგანდის სამინისტროს ყოფილი სტატს-მდივანი ოტო დიტრიხი; სს-ის ობერგრუპენფიურერი ბერგერი; ფინანსთა ყოფილი მინისტრი გრაფ შვერინ ფონ კროზიკი და სხვები.

სახალხო აჯანყებანი ჩინეთში

შანხაი, 8 იანვარი. (საკდესი). ჰონკონგის ჟურნალმა „ციუნჯუნმა" დაბეჭდა სტატია, რომელშიც ნათქვამია, რომ გომინდანის ჩინეთში 1947 წელს მრავალი სახალხო აჯანყება მოხდა. მობილიზაციამ გომინდანის არმიაში, განაგრძობს ჟურნალი, ხალხის მასები სასოწარკვეთილებამდე მიიყვანა და ჩინეთში დიდი აჯანყებანი გამოიწვია. სიჩუანის პროვინციაში მოსახლეობა განსაკუთრებით გაბოროტებულია მობილიზაციით და გადაჭრით ილაშქრებს მის წინააღმდეგ.

ჟურნალის სიტყვით, იაპონია-ჩინეთის ომის დროს სიჩუანის პროვინციაში არმიაში მობილიზებულ იქნა რამდენიმე მილიონი მამაკაცი. იაპონიის კაპიტულაციის შემდეგ გომინდანის ჩინეთში არმიაში მობილიზაცია ისეთივე ოდენობით გრძელდება, როგორც ომის წლებში სწარმოებდა. ამჟამად სიჩუანის პროვინციის მეტ წილ სასოფლო-სამეურნეო რაიონებში ძლიერ იშვიათად ნახავთ მამაკაცებს. ჩენდუსა და ვანსიანში რიკშებისა და კულების უმრავლესობა ქალები და ბავშვებია.

გუანსის პროვინციის სამხრეთ ნაწილში, განაგრძობს ჟურნალი, გლეხებმა მოაწყეს არმიაში გაწვევისა და მიწის რენტის წინააღმდეგ მიმართული შეიარაღებული აჯანყება.

იუნანის პროვინციის ზოგიერთ რაიონში მოსახლეობამ თვითმმართველობის თავისი საკუთარი ორგანოები შეჰქმნა. მოსახლეობა უარს ამბობს გომინდანის ჯარებში შესვლასა და მთავრობისათვის გადასახადების გადახდაზე. იუნანის პროვინციის სამხრეთ ნაწილში ინტელიგენციის წარმომადგენლები ადგილობრივი შეიარაღებული ჯგუფების რიგებში შევიდნენ და საკუთარი ოპერატიული ბაზა შეჰქმნეს. როგორც იუწყებიან, რამდენიმე ათასი პარტიზანი მოქმედებს იუნანისა და სიკანის პროვინციების საზღვარზე სხვადასხვა რაიონებში.

იტალიის კომპარტიის VI ყრილობაზე

რომი, 8 იანვარი. (საკდესი). 6 იანვარს იტალიის კომპარტიის მეექვსე ყრილობის სხდომაზე გრძელდებოდა დისკუსია ტოლიატის მოხსენების გამო. ამავე დღეს ყრილობას მიესალმა საფრანგეთის კომპარტიის გენერალური მდივანი მორის ტორეზი, რომელმაც გამოსთქვა სურვილი, რომ განმტკიცდეს იტალიელთა და ფრანგთა ძმობა ეროვნული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საერთო ბრძოლაში. ტორეზმა თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ ამჟამად კომუნიზმის ძალები მთელი მსოფლიოს დემოკრატიის ძალებთან ერთად იბრძვიან ეროვნული დამოუკიდებლობისა და პროგრესის დაცვის ლოზუნგით ამერიკის იმპერიალიზმის — ახალი ომის გამჩაღებლის წინააღმდეგ, რომელიც შუღლს თესავს ხალხთა შორის, მტერია დემოკრატიისა და ერთიანობისა და ცდილობს პროვოკაციით გამოიწვიოს დემოკრატიული ძალების გათიშვა და უხეშად არღვევს დემოკრატიის, საერთაშორისო თანამშრომლობისა და ეროვნული ღირსების პრინციპებს. ტორეზმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამერიკის იმპერიალისტები „დახმარების" სახით სპობენ იმ ქვეყნების ეკონომიური, მატერიალური, სოციალური და კულტურული განვითარების შესაძლებლობას, რომელთაც დახმარება ესაჭიროებათ. ამან დანაშაულებრივი კამპანია გამოიწვია სოციალიზმის ქვეყნისა და ახალი დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ. რა იქნებოდა ევროპა, რა იქნებოდა დემოკრატია, რომ არ ყოფილიყო საბჭოთა კავშირი, საბჭოთა არმია, ბოლშევიკური პარტია და მისი ბელადი სტალინი? — ამბობს ტორეზი ტაშის გრიალში. ტორეზი მიესალმა თავისუფალი საბერძნეთის მთავრობას, რუმინეთის ახალ სახალხო რესპუბლიკას, დემოკრატიული ჩინეთის შეიარაღებული ძალების წარმატებას, საფრანგეთისა და იტალიის სახალხო მოძრაობის მიღწევებს და უდიდეს აღმავლობას, რასაც განიცდის ყველა ხალხები, რომლებიც იმპერიალისტებს სურთ კოლონიურ უღელქვეშ იყოლიონ, და სთქვა: „ამოვარდა ქარი — თავისუფლების ქარი, რომელიც მუშათა დემოკრატიული მოძრაობის იალქნებს აფრიალებს და სოციალიზმისა და კომუნიზმის მალე განხორციელებისაკენ მიაქანებს მსოფლიოს".

იტალიის შრომის საყოველთაო კონფედერაციის მდივანმა ჯუზეპე დი ვიტორიომ თავის მოხსენებაში გააშუქა მიღწევები იტალიის შრომის საყოველთაო კონფედერაციისა, რომელიც უმთავრესად კომუნისტების დამსახურების გამო მშრომელთა მონაპოვარის მძლავრი დასაყრდენი და დემოკრატიის დასაყრდენი გახდა. დი ვიტორიო შეეხო პროფკავშირული ბრძოლის პერსპექტივებს და შეჩერდა სახალხო-დემოკრატიულ ფრონტში იტალიის შრომის საყოველთაო კონფედერაციის მონაწილეობის ფორმებზე. შრომის დემოკრატიული ფრონტი და პროფკავშირები, სთქვა მან, სტრუქტურულ რეფორმებს მოითხოვენ, რომლებიც რადიკალურად შესცვლიან იტალიის საზოგადოებას. დი ვიტორიომ აღნიშნა, რომ საჭიროა პროფკავშირულ ორგანიზაციათა განმტკიცება, და რწმენა გამოსთქვა, რომ სახალხო ფრონტი იტალიას მისცემს მშრომელთა მთავრობას.

შემდეგ გამოვიდა დელეგატი მიჩელი, რომელმაც გააშუქა კალაბრიის მდგომარეობა, სადაც საადგილმამულო კომიტეტები უკვე გახდნენ სახალხო-დემოკრატიული ფრონტის მოძრაობის აუცილებელი ნაწილი.

დელეგატმა ზერამ ილაპარაკა საწარმოთა მართვა-გამგეობის საბჭოებზე, რომლებიც შეიქმნა კრემონის პროვინციის მსხვილ კაპიტალისტურ სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში. ამ პროვინციაში, სთქვა მან, საადგილმამულო კომიტეტებს, რომლებიც ეროვნული განთავისუფლების კომიტეტთა ტრადიციებს იცავენ, მშრომელთა ზეგავლენით მიემხრნენ აგრეთვე ქრისტიანი დემოკრატები.

ბოლონიის მერმა დოცამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ პარლამენტის მომავალი არჩევნების დროს საჭიროა წამოყენებულ იქნას სახალხო ფრონტის საერთო სიები.

გენუის წარმომადგენელი პესი შეჩერდა განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე, რაც ლიგურიაში აქვთ სახალხო ფრონტის კომიტეტებს, რომლებიც სიძნელეთა დაძლევისა და რეაქციული ძალების წინააღმდეგ ბრძოლის იარაღს წარმოადგენენ.

ცენტრალური კომიტეტის წევრმა მაურო სკოჩიმარომ ყრილობის ყურადღება მიაპყრო პარტიის ამოცანებს, რომლებსაც იგი განსაზღვრავს როგორც სახალხო დემოკრატიის შექმნას. სკოჩიმარომ ევროპის აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ქვეყნებში სახალხო დემოკრატიის პოლიტიკური და პრაქტიკული მიღწევები შეადარა იტალიაში არსებულ მდგომარეობას, სადაც რეაქცია იბრძვის იმისათვის, რომ ხელი შეუშალოს დემოკრატიული ძალების ახალ ორგანიზაციას, სახელმწიფო აპარატის განახლებას და სტრუქტურული რეფორმების განხორციელებას. ამრიგად, სთქვა მან, დემოკრატიულმა ძალებმა დაჰკარგეს ეროვნული განთავისუფლების კომიტეტთა შექმნით მოპოვებული მიღწევები—მათ ვერ შესძლეს სახელმწიფო აპარატის განახლება და ისინი შეჩერებულ იქნენ რეფორმებისაკენ მიმავალ გზაზე. ამავე დროს რეაქციულ ძალებს ჩაეფუშათ ცდა—მოესპოთ დემოკრატიული მოძრაობის პოზიციები და ამ მოძრაობის აღორძინების შესაძლებლობა. დღეს იტალიაში არის კომუნისტური პარტია, რომელიც იტალიის ყველაზე დიდი ორგანიზებული პოლიტიკური ძალაა. მუშათა კლასის ერთიანობა მტკიცეა და მუშათა და გლეხთა შორის ახალი კავშირი დამყარდა. პოლიტიკურად იღვიძებს სამხრეთი. სხვანაირად რომ ვთქვათ, განაგრძო სკოჩიმარომ, არის პირობები, რომლებიც საჭიროა ჩვენი გზის განსაგრძობად. ჩვენს ამოცანებს მივაღწევთ ერთიანი დემოკრატიული მოძრაობით, სახალხო ფრონტით, სტრუქტურული რეფორმების განხორციელებით, სახელმწიფო აპარატში რეაქციული გავლენის მოსპობით, კონტროლის ორგანიზაციის შექმნით და მართვა-გამგეობის ადგილობრივი ორგანოების ავტონომიით.

გუშინ ყრილობის სხდომაზე თავმჯდომარემ ველიო სპანომ გამოაქვეყნა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის შემდეგი მისალმება იტალიის კომპარტიის მეექვსე ყრილობისადმი:

„საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი ძმურ სალამს უთვლის იტალიის კომუნისტური პარტიის მეექვსე ყრილობის დელეგატებს.

იტალიის კომუნისტურმა პარტიამ, რომელიც იცავს იტალიის მუშათა კლასისა და ხალხის ფართო მასების ინტერესებს, მუშათა კლასის ერთიანობისათვის, იტალიის განვითარების ახალი დემოკრატიული გზისათვის თავისი სახელოვანი ბრძოლით სერიოზულ წარმატებებს მიაღწია და მოწინავე, მასობრივი პარტია გახდა.

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი შემდგომ წარმატებას უსურვებს იტალიის კომუნისტურ პარტიას მის განუწყვეტელ ბრძოლაში მტკიცე მშვიდობისათვის, დემოკრატიისათვის, იტალიელი ხალხის ყველა დემოკრატიული და პატრიოტული ძალების დარაზმვისათვის, იტალიის ეროვნული სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობისათვის.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. სუსლოვი".

ყრილობის დელეგატები საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მისალმებას შეეგებნენ მქუხარე ხანგრძლივი ტაშით, ინტერნაციონალის მღერითა და შეძახილებით: „გაუმარჯოს ბოლშევიკების პარტიას!", „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს!", „გაუმარჯოს საბჭოთა არმიას!", „გაუმარჯოს ამხანაგ სტალინს!".

თავმჯდომარემ წაიკითხა იტალიის კომპარტიის მეექვსე ყრილობის საპასუხო მისალმება საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისადმი, რასაც დელეგატები მხურვალე ტაშით შეხვდნენ.

ამერიკის მუშათა პარტიის აღმასრულებელი კომიტეტის განცხადება

ნიუ-იორკი, 8 იანვარი. (საკდესი). ამერიკის მუშათა პარტიის აღმასრულებელმა კომიტეტმა პრესის წარმომადგენლებს გამოუცხადა, რომ იგი იწონებს პრეზიდენტის პოსტზე უოლესის მიერ თავისი კანდიდატურის წამოყენებას.

მუშათა პარტია ნიუ-იორკის შტატის პოლიტიკაში მნიშვნელოვან პროგრესულ როლს ასრულებს. მან 496.000 ხმა მიიღო 1944 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს, როცა იგი რუზველტის არჩევას უჭერდა მხარს.

თავის რეზოლუციაში აღმასრულებელი კომიტეტი ჰპირდება უოლესს, რომ პარტია მას აღმოუჩენს „სრულ და ენერგიულ მხარდაჭერას ამ ისტორიულ მოძრაობაში, რომელსაც ერთს შეუძლია კვლავ წაიყვანოს ჩვენი დიდი ქვეყანა და მისი ხალხი მშვიდობის გზით". რეზოლუცია ჰკიცხავს პოლიტიკას, რომელსაც ატარებს როგორც დემოკრატიული, ისე რესპუბლიკური პარტია, და ამტკიცებს, რომ ორპარტიული ანტისაბჭოთა პოლიტიკა მსოფლიო ომის გამოწვევის საფრთხეს შეიცავს. „ჩვენს ქვეყანაში,— ნათქვამია რეზოლუციაში, — ამ ორპარტიულმა საომარმა ციებ-ცხელებამ მიგვიყვანა უზარმაზარი „სამხედრო მანქანის" შექმნამდე, რაც ამერიკელ ხალხს მძიმე ტვირთად აწევს. ეს მანქანა შეიცავს საფრთხეს, რომ იგი ჩვენს ქვეყანას თავს მოახვევს საყოველთაო სამხედრო სწავლებას, რის მიღებითაც ჩვენ თავდაყირა დავაყენებდით ტრადიციებს, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში 150 წლის მანძილზე არსებობდა, და გავასამხედროებდით ჩვენს ახალგაზრდობას".

შემდეგ რეზოლუციაში ნათქვამია, რომ როგორც რესპუბლიკური, ისე დემოკრატიული პარტია პასუხისმგებელია ფასების კონტროლის ლიკვიდაციისა და ცხოვრების ღირებულების მკვეთრი გადიდებისათვის. „საქმის ვითარება ანალოგიურია სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე ყველა საკითხში — საბინაო საკითხში, ბინის ქირის კონტროლის საკითხში, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, დაზღვევისა და ხეირიანი საარსებო დონის საკითხებში, — სადაც რესპუბლიკელთა და დემოკრატთა კოალიცია დაუღალავად შრომობს და ახორციელებს ხალხის ინტერესების წინააღმდეგ მიმართულ ერთიან ტაქტიკას".

უოლესის განცხადება პრესის წარმომადგენლებისადმი

ნიუ-იორკი, 8 იანვარი. (საკდესი). პრესის წარმომადგენლებთან საუბარში ჰენრი უოლესმა შემდეგი განაცხადა ტრუმენის გამოსვლის გამო: „პრეზიდენტი იმავე მიზნებს ისახავს, 1946 წელს რომ ისახავდა. ის რომ 1948 წელსაც გამხდარიყო პრეზიდენტი, ამავე მიზნებს დაისახავდა, რადგან მათი განხორციელებისათვის არაფერი იქნებოდა გაკეთებული. იგი არ მოუწოდებს ტაფტ-ჰარტლის კანონის გაუქმებისაკენ. ერთად-ერთი კანონმდებლობა, რომლის განხორციელებასაც იგი მოითხოვს და რომლის შესახებაც არის საშიშროება, რომ იგი მოწონებულ იქნება,—სავალდებულო სამხედრო მომზადებაა, რის წინააღმდეგაც გადაჭრით ვილაშქრებ. უოლესი, განიხილავს რა ეროვნული თავდაცვისა და საგარეო პოლიტიკის პრობლემებს, კვლავ აღნიშნავს, რომ დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობა იმის მომხრეა, რომ მხარი დაუჭირონ რეაქციულ მთავრობებს მთელ მსოფლიოში ამერიკელი ხალხის ხარჯზე და ახალი ომის გამოწვევის რისკით".

ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესში ტრუმენს ცივად შეხვდნენ

ლონდონი, 8 იანვარი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს ვაშინგტონელი კორესპონდენტი გადმოგვცემს, კონგრესისადმი ტრუმენის 45-წუთიან მიმართვას, რაც მან კონგრესის ხალხით გაჭედილ დარბაზში წაიკითხა, სამარისებური სიჩუმით შეხვდნენ. კორესპონდენტი აღნიშნავს კონგრესისადმი პრეზიდენტის ტრადიციული მიმართვის უპრეცედენტოდ ცივ მიღებას და დასძენს, რომ ტრუმენის დაპირებას, რომ მთლიანად განახორციელებს ანტიმუშურ კანონს, რომელსაც მხარს უჭერენ რესპუბლიკელები, მოწოდებას — მხარი დაუჭირონ ქვეყნის შეიარაღებულ ძლიერებას და მეორედ მოწოდებას — შემოღებულ იქნას საყოველთაო სამხედრო სწავლება—მხოლოდ რამდენიმე კაცმა დაუკრა ტაში.

ბერლინის გაზეთები საფრანგეთ-საარის შეთანხმების შესახებ

ბერლინი, 7 იანვარი. (საკდესი). როგორც ცნობილია, ამ დღეებში პარიზში ხელი მოაწერეს საფრანგეთ-საარის შეთანხმებას, რომელიც ითვალისწინებს საფრანგეთთან საარის ოლქის ეკონომიური შეერთების პრაქტიკულ განხორციელებას. საფრანგეთის უმაღლეს კომისრად საარში დაინიშნა გენერალი გრანვალი, რომელმაც დიქტატორული რწმუნებანი მიიღო. განკარგულებაში, რომელიც მის დანიშვნას ეხება, ნათქვამია, რომ „ყველა კანონი, განკარგულება და დადგენილება საარის ოლქის მთავრობის ან მისი წევრებისა არ შეიძლება გამოქვეყნდეს და არ შეიძლება ძალაში შევიდეს, თუ უმაღლესმა კომისარმა არ მოიწონა". უმაღლესი კომისარი ნიშნავს სახელმწიფო მოხელეებს, იღებს ღონისძიებებს, რომლებიც გამომდინარეობენ „საფრანგეთ-საარის საბაჟო კავშირის დადებიდან და საარში სავალუტო რეფორმის განხორციელებიდან", იგი ზრუნავს საარის ოლქში წესრიგისა და მშვიდობის დაცვისათვის და სხვ.

გაზეთი „ნოიე ცაიტი" ამასთან დაკავშირებით მოწინავე სტატიაში სწერს, რომ ეს შეთანხმება არის საარის ოლქის ისტორიულ განვითარებაში და უფლებრივ სტატუტში ახალი ჩარევა, საარის ოლქისა, რომელიც 1918 წლიდან ხელიდან ხელში გადადის. ამგვარი ხელშეკრულებებით საარი შეიძლება დაემსგავსოს ელზას-ლოტარინგიას, ე. ი. მუდმივი ეროვნულ-პოლიტიკური დავის ობიექტი გახდეს გერმანიასა და საფრანგეთს შორის. პარიზში გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების უქონლობას იყენებენ მომხდარი ფაქტების პოლიტიკის განსახორციელებლად.

„საარის ოლქმა,—სწერს გაზეთი „ბერლინერ ცაიტუნგი",—მიიღო უმაღლესი კომისარი, რომელსაც ისეთივე მდგომარეობა უკავია, როგორც საფრანგეთის რომელიმე ადმინისტრატორს მაროკოში ან ინდო-ჩინეთში. სრულიად ცხადია, რომ არ აპირებენ საარის მცხოვრებთ ისე მოეპყრონ, როგორც ფრანგთა თანასწორებს. უმაღლესი კომისრის დანიშვნის შემდეგ ავტონომიისა და საკუთარი კონსტიტუციისაგან აგრეთვე მცირე რამ რჩება. ფაქტიურად საარის ოლქში დამყარებულია უმაღლესი კომისრის დიქტატურა".

პასუხისმგებელი რედაქტორი ბ. ნანიტაშვილი

ჰიტლერის უკანასკნელი დღეები

გერმანელი ოფიცრის ჰერჰარდ ბოლდტის ნაამბობის მიხედვით

(გაგრძელება)

შირენი, კანცელარისტები, დავალებათა ოფიცრები. გენერლები და პოლკოვნიკები ისე ხმამაღლა ლაპარაკობენ, რომ იძულებული ვხდები ვთხოვო სიჩუმე დაიცვან, რათა მოვისმინო რაიმე ტელეფონით. რამდენიმე წუთი აკლდა 11 საათს, და უცბად ჩემს ოთახში ჩამოვარდა ისეთი სიჩუმე, რომ, მგონია, იატაკზე ქინძისთავის დავარდნის ხმასაც გავიგონებდით. დიახ, კვლავ ეს ყრუ გრუხუნი. ვინც თუნდაც ერთხელ ყოფილა ფრონტზე, მან ეს იცის. ჩვენ ერთმანეთს ვუმზერთ. ბოლოს, ერთი ჩვენგანი სიჩუმეს არღვევს: „რუსების ტანკები ბარუტთან არიან. ვფიქრობ, 10-12 კილომეტრზე აქედან". მეორე დასძენს: „ნახევარ საათში მათ შეუძლიათ აქ გაჩნდნენ". გენერალი კრებსი თავისი ოთახიდან გამოდის: „გთხოვთ, ბატონებო". იწყება უკანასკნელი თათბირი გერმანიის შტაბ-სადგომში. მე ვიღაც მეძახის. გავდივარ. მხვდება კრინკელი, განაწამები, მთლად დატალახიანებული. რამდენიმე მანქანა და 20 ჯარისკაცი — აი ყველაფერი, რაც ესკადრონისაგან დარჩენილა. ბარუტი რუსებმა დაიკავეს. იქ ჩვენ დაგვრჩა ორი საზენიტო ქვემეხი, 20 ჯარისკაცი და რამდენიმე ფოლკსშტურმელი. ჯერჯერობით რუსები შეჩერდნენ. იქნება თუ არა რაიმე ბრძანება, მეკითხება იგი დასასრულ. „იქნება, — ვეუბნები მე.—მზად იყოლიეთ ჯარისკაცები და მანქანები". ვბრუნდები სადგომში და ყოველივეს მოვახსენებ გენერალს. იგი მაშინვე ურეკავს ჰიტლერს და დაბეჯითებით სთხოვს ნებართვას შტაბ-სადგომის გადატანის შესახებ. ჰიტლერი უარს ამბობს. ოფიცრები გვეთხოვებიან, მათ სახეზე ამოიკითხავთ: მაშასადამე ვიქნებით რუსების ტყვე.

შემდეგ ტელეფონით რეკს ბურგდორფი. ჰიტლერმა უკვე გასცა ბრძანება, ამბობს იგი, რომ, დაღამდება თუ არა, ბერლინისაკენ გადავიყვანოთ მთელი ჯარები, რომლებიც ელბის ორივე მხარეზე იბრძვიან, დრეზდენსა და დესაუ-როსლაუს შორის. ამრიგად, ამერიკელებისა და რუსების შეხვედრის გზა გახსნილია. რამდენიმე საათის შემდეგ გერმანიის უკანასკნელი კურიერები მიდიან გერმანიის სამხრეთ ნაწილში ჯერ კიდევ გადარჩენილი 15 კილომეტრი სიგანის კორიდორით. ხვალიდან გერმანია ორ ნაწილად გაიჭრება. მაგრამ ამ ომში რუსები ხშირად ჩერდებიან, რაც სრულიად მოულოდნელია ჩვენთვის. ასე მოხდა ახლაც. ბედი გვწყალობს: მაშინაც კი, როცა არსებითს წინააღმდეგობას არ ვუწევთ, რუსების სოლივით შემოჭრილი ჯარის მეწინავე რაზმები ჩერდებიან ბარუტში, 10 კილომეტრზე ჩვენი შტაბ-სადგომიდან. ბოლოს, 13 საათზე მოდის ჰიტლერის ბრძანება, რომ შტაბ-სადგომი გადატანილ იქნას სამხედრო-საჰაერო ძალების ყაზარმებში პოტსდამთან, აიხეში. ამავე დროს გვაცნობეს, რომ საიმპერიო კანცელარიაში თათბირი შესდგება უკვე 14 საათსა და 30 წუთზე. შტაბ-სადგომი დიდი აჩქარებით ემზადება უკანდასახევად. ხსნიან მავთულებს. დაახლოებით 14 საათზე ჩემ კოლონასთან ერთად მთავარი ალაყაფის კარებით მივდივარ ბერლინისაკენ. უფროსი და მისი ადიუტანტი უკვე წავიდნენ 15 წუთის წინათ.

ფართო ავტოსაჰაერო გზა სავსეა ასობით, ათასობით ადამიანით, ზოგი მიდის საზიდრით, ზოგი ველოსიპედით, ზოგი ურიკით, საბავშვო ეტლებით; უმრავლესობა მიდის ფეხით სადმე დასავლეთისაკენ, ოღონდ თავი დააღწიონ რუსებს. დასახლებული პუნქტების მისადგომებთან ტანკის ღობურები თავისუფალს სტოვებენ მხოლოდ სრულიად ვიწრო გასასვლელს. ძელებისა და ქვის ბარიკადებზე ადიან ბავშვები, რომლებიც აქ უზრუნველად თამაშობენ. მათ ქაღალდის ქუდები ხურავთ და ხელში უკავიათ ხის ხმლები, ისინი მხიარულად გვესალმებიან. გავიარეთ ლტოლვილთა ჯგუფებში და გავემართეთ პოტსდამისაკენ. გზაში შემოგვხვდა მოტოციკლისტი, რომელმაც გვაცნობა, რუსების არტილერია უკვე უშენს ბერლინის ცენტრალურ ნაწილს და დოროტეენშტრასეზე უკვე არიან მოკლულნიო.

საიმპერიო კანცელარიაში ახლა მიმდინარეობს უკანასკნელი დიდი სამხედრო თათბირი ფიურერთან. სამწუხაროდ, თათბირს მე არ დავსწრებივარ, მის შესახებ მერმე მიამბო ბარონმა ფონ ლორინგჰოვენმა. ჰიტლერმა უკანასკნელად მიიწვია პარტიის, სახელმწიფოსა და შეიარაღებული ძალების წარმომადგენლები. ამ ღირსსახსოვარ დღეს, 1945 წლის 21 აპრილს, როცა რუსების ყუმბარები უკვე სკდებოდა ბერლინის ქუჩებში, მან პირველად სცნო თავისი თავი დამარცხებულად. მან თავის თანაშემწეებს მიმართა სიტყვებით: „...ომი წაგებულია... მე გადავწყვიტე თავი მოვიკლა". მან სთქვა აგრეთვე, რომ ბერლინში დარჩება და თავის ბანაკს არ გადაიტანს დასავლეთში. გენერალ-ფელდმარშალ კესელრინგს მან გადასცა უმაღლესი სამხედრო ხელისუფლება და გერმანიის სამხრეთ ნაწილში „მთავრობის საქმეთა ხელმძღვანელობის" უფლება, ხოლო გროს-ადმირალ დენიცს ასეთივე უფლება მიანიჭა გერმანიის ჩრდილოეთ ნაწილში. გებელსი, ბორმანი და კრებსი ჰიტლერთან უნდა დარჩენილიყვნენ საიმპერიო კანცელარიაში.

პოტსდამში შესვლის წინ მე კვლავ ვბრძანე შეჩერება, რათა შემეკრიბა გაფანტული ჩემი კოლონა. თავზე გადაგვიქროლა ორმა ჩვენმა ავიაგამანადგურებელმა, რომლებიც აღმოსავლეთისაკენ, ბრძოლის ადგილისაკენ მიფრინავდნენ. ჩვენამდე სუსტად აღწევს ფრონტის ხმაური, როგორც შორეული ქექა-ქუხილი... ვაგზალთან ჩვენ გავიარეთ 20 თუ 30 აუფეთქებელი ბომბის ახლოს, რომლებიც აქ დარჩენილა პოტსდამზე უკანასკნელი საჰაერო თავდასხმის შემდეგ. ძველი ციხე-დარბაზის წინ ხიდებთან იძულებული გავხდით შევჩერებულიყავით. ტანკის ღობურების წინ ორივე ხიდს შუა თავმოყრილია ასობით მანქანა და საზიდარი. მე გამოვდივარ მანქანიდან და ვცდილობ მოვაწესრიგო მოძრაობა.

IX

საზიდრებზე მსხდომი მამაკაცები ყვირიან, შოფერები ილანძღებიან, ქალები უმწეოდ სტირიან. მათ ხელში უჭირავთ საბნებში გახვეული ბავშვები. ხიდებთან მუშაობენ მესანგრენი, რომლებიც მათ ქვეშ აწყობენ ასაფეთქებელ ნივთიერებას და აუფეთქებელ ბომბებს. ბოლოს, ჩვენ შევდივართ ქალაქში. პრუსიის პირველი მეფის ძველი ციხე-დარბაზი სრულიად დანგრეულია. იძულებული ვართ ვიაროთ გვერდის ქუჩებით. გზა გადაღობილია შენობათა ნანგრევებით და ნაყუმბარევებით. ღორღსა და ნაგავში გდია პოტსდამის ძველი საგარნიზონო ეკლესიის გაბზარული ზარი. ადოლფ ჰიტლერმა ამ ეკლესიაში გადაიხადა მესამე იმპერიის ნათლობა და საზეიმო ფიცი წარმოსთქვა ფრიდრიხ დიდის კუბოსთან. დამწვარი ეკლესიის ჩალეწილი ფანჯრები შემოგვცქერიან, როგორც შურისძიებით ანთებული თვალები. ქალაქის განაპირას პარკებში განლაგებული ვილების ირგვლივ გამეფებულია სიჩუმე. მტრის ბომბებს არ დაუზიანებია არც „სანსუსი". ბოლოს აიხეს ყაზარმებში ვართ. გვხვდებიან ბინის განმანაწილებელნი. ბრძანებები სიტყვასიტყვით სცვივა. როცა საღამოს 8 საათზე სრულიად განაწამები ფრაიტაგი ბრუნდება საიმპერიო კანცელარიიდან, ყველაზე მთავარი რამ უკვე გაკეთებულია. ყოველივე ეს ხომ დროებითაა საჭირო: დიდხანს აქაც როდი დავრჩებით.

მეორე დილას ვრცელდება ხმები, რომ შტაბ-სადგომი გადატანილი იქნება რაინსბერგში, იქიდან კი, ალბათ, კიდევ უფრო შორს, ლუბეკის რაიონში. ამ ხმებს ვერ ვუჯერებ. ნუთუ რამდენიმე დღის შემდეგ კვლავ ვნახავ ცოლშვილს? იმავე დღეს მოდის გენერალ დეტლევსენის ბრძანება სახმელეთო ჯარების უმაღლესი სარდლობის შტაბის დაცვის ორგანიზაციის შესახებ. შევკრიბე მებრძოლი ჯგუფი, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო, მოვახდინე სატანკო დაზვერვა და მოვაწყე ტბის დეფილეს ბლოკირება პოტსდამის დასავლეთითა და ჩრდილოეთით, გელტოვთან, ვერდერსა და მარკვარდთან. ლტოლვილთა ნაკადი განუწყვეტლივ მატულობს, ირგვლივ სრული სასოწარკვეთილებაა. 23 აპრილს დილით ბარონს მოსდის ბრძანება დაუყოვნებლივ გამოცხადდეს საიმპერიო კანცელარიაში რამდენიმე დღისათვის საჭირო ნივთებით. მან იცის, თუ რას ნიშნავს ეს. ყველა ჩვენგანისათვის მძიმე იყო მასთან გამოთხოვება.

ჩემი მოვალეობის შესასრულებლად კვლავ ჩქარა გამოვდივარ შენობიდან. გზებზე სულ უფრო სავალალო მდგომარეობაა. დღეს ლტოლვილებს შეუერთდნენ პირველი ჯარისკაცები. პირველად ჯარისკაცები გვხვდება თითო-ოროლა ან მცირე ჯგუფებად, შემდეგ კი თანდათან მატულობენ. ზოგიერთს ჯერ კიდევ აქვს იარაღი და გარკვეული მიზანი, მაგრამ უმრავლესობა მოდუნებულია და წინააღმდეგობას არ უწევს გახრწნას. ისინი სრულიად აპათიურნი არიან, მათ გამოიცნობთ იმით, თუ როგორ დადიან, როგორ უკავიათ თავი, როგორი გამომეტყველება აქვთ. სახელდახელოდ ჭრილობა შეხვეულ ჯარისკაცთა ნაკადი განუწყვეტლივ მოდის.

დაახლოებით 17 საათზე გამოვცხადდი გენერალ დეტლევსენთან. მან მიბრძანა მივსულიყავი. შემომეგება მაღალი ტანის, ნერვიული, მოძრავი სახის კაცი და ხელი გამომიწოდა. მისი მოკლე, ძუნწი სიტყვები შეიცავენ ჩემს განაჩენს: „ნახევარი საათის წინათ დარეკა გენერალმა კრებსმა. თქვენ ახლავე უნდა გაემგზავროთ საიმპერიო კანცელარიის თავშესაფარში და მიეშველოთ ფრაიტაგს, თან წაიღეთ ნივთები. მე ვფიქრობ იცით, თუ რას ნიშნავს ეს თქვენთვის". იგი პირდაპირ მიცქერის, მხარზე ხელს მადებს და მეუბნება: „თუ საქმე ისე დატრიალდა, რომ რუსები იქ მოვიდნენ და დადგა მომენტი, როცა გაზსადენი ამოქმედდება, გამოდით თავშესაფრიდან და უკეთესი იქნება მოკვდეთ ვილჰელმის მოედანზე, როგორც ჯარისკაცი". უკანასკნელი სიტყვები მან ნელა და წყნარად წარმოსთქვა. „ხომ არ გსურთ რაიმე, რის შესრულებაც მე შემეძლება?"—დასძინა მან.

ოთახში სრული სიწყნარეა. მივეცი მას ჩემი ცოლის მისამართი, გამოვემშვიდობე და გამოვედი. მხოლოდ მას შემდეგ, რაც გამოვედი ყაზარმის ნახევრად ბნელ გრძელ კორიდორში, ვიგრძენი მისი სიტყვების მთელი მნიშვნელობა.

(გაგრძელება იქნება)

საქართველოს სსრ პოლიტიკური და სამეცნიერო ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება, ორშაბათს, 12 იანვარს, მედსანშრომის მუშაკთა კავშირის ვოროშილოვის სახელობის კლუბში (რუსთაველის პროსპექტი № 2) აწყობს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის **ა. დიდებულიძის** ლექციას თემაზე: **„უხილავის ფოტორეპროდუქცია"**.

ლექციის შინაარსი: აღქმა გარემო ბუნების სურათისა, მისი ფორმების, ფერებისა და იერის მთელი სიმდიდრით, ისევე როგორც ყველა მოვლენისა, უმთავრესად თვალის საშუალებით ხდება. ოპტიკა (ფიზიკის განყოფილება) იცნობს ოპტიკური ტალღების (შუქის) 26 ოქტავას, რომელთაგანაც თვალი მხოლოდ ერთსა ხედავს და, მაშასადამე, ყოველივე, რასაც დანარჩენი 25 ოქტავა გადმოსცემს, მხედველობისათვის მიუღწეველია. მეთოდიკა „უხილავის ფოტორეპროდუქცია" იძლევა მეთოდებსა და ხერხებს ფოტოსურათზე იმის აღქმისათვის, რაც ჩვეულებრივი თვალისათვის უხილავია.

ლექცია ილუსტრირებული იქნება უხილავის ფოტოსურათების ჩვენებით ეკრანზე. ლექციის დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ბილეთები წინასწარ გაიყიდება კლუბის სალაროში საღამოს 6-დან 9 საათამდე. „აკადემიური წიგნის" მაღაზიაში (რუსთაველის პროსპექტი № 19) დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 5 საათამდე. კოლექტიური განცხადება მიიღება ტელეფონით 3-55-22.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი აცხადებს, რომ ა. წ. 20 იანვარს, დღის 2 საათზე, ინსტიტუტის აუდიტორიაში (მელიქიშვილის ქუჩა № 16) დისერტაციას დაიცავენ:

ნინო მიხეილის ასული გაბინოვა, ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად, თემაზე: **„Влияние избыточного количества витамина С на животный организм по некоторым биохимическим показателям крови и мочи"**

ოფიციალური ოპონენტები: მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი **გ. ნათაძე** და მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი **ი. ნანავა**.

ფარმაკოლოგიის კათედრის ასისტენტი **ელენე კონსტანტინეს ასული ნემსაძე**, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად, თემაზე: **„პლატიფილინის ფარმაკოლოგია"**.

ოფიციალური ოპონენტები: მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ა. ბაკურაძე** და მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი **ი. ფაილოძე**.

მსურველთ შეუძლიათ გაეცნონ შრომებს სამედიცინო ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (თარხნიშვილის ქ. № 2).

დირექცია.

ტრესტ „საქმომარაგების" კოლექტივი იუწყება **ლუბა ალექსანდრეს ასულ დონაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 10-I, 7 ს. გამოსვენება 11-I, 2 ს. კარაკლისის, 6.

დედა ვალენტინა, ძმები არჩილ, გიორგი, ვალენტინ ოჯახებით იუწყებიან **ლუკა ლუკას-ძე გოგავას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 10-I, 7 ს. გამოსვენება 11-I, 3 ს. ლერმონტოვის, 22.

შვილი გივი ხუციშვილი, დები ლოლა, ლილი, ბაბო, ნუცა ლოლობერიძეები, სიძეები ე. ლუნდბერგი, ვ. ერისთავი, გ. იოსელიანი შვილებით იუწყებიან **ლიზა დავითის ასულ ლოლობერიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 10-I, 7 ს. გამოსვენება 11-I, 2 ს. საბა-სულხანის, 8.

მეუღლე რუბენ, შვილები ნოდარ, ომარ, მულები ვალია, საშა, ძმები კოლია, პუხუტი, ჟორა, რძლები ბაბუსი, ქეთი, მარო, ნინო იუწყებიან **ლუბა გვანცელაძე-დონაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 10-I, 7 ს. გამოსვენება 11-I, 2 ს. კარაკლისის, 6.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კავკასიურ ენათა კათედრა იუწყება აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას ძმის **ვლადიმერ სტეფანეს-ძე ჩიქობავას** გარდაცვალებას.

ა. ხარაძე, ს. შარაძენიძე, ა. ბარკალაია, ნ. საჯაია, გ. იაშვილი, ს. რატიანი, დ. მაჭავარიანი, ვ. ელიაძე, ა. ჭიჭინაძე, ა. გახოკიძე, შ. კეკელია, მ. ვასაძე იუწყებიან **ნესტორ ხუსკივაძის** გარდაცვალებას.

რედაქციის მისამართი თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, სამდივნოსი—3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდის—3-82-05, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის—3-81-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების—3-73-24, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტოსი—3-80-83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის—3-80-84, მორიგისა და გამომშვების—3-81-65, გამომცემლობის—3-51,81, სტამბის დირექტორის—3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.

ტირაჟი 110,000

უე 00806